პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 186 (15096)

15 აგვისტო კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 250.000 ტონა ჩაისათვის



სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა ჰალეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ა. ყუფუნიასი.

## საბჭოთა ადამიანის სულიერი სახე

ПРАВДА

14 აგვისტოს მოწინავე

ამას წინათ დიდი მღელვარებით შევიტყვეთ ხერსონის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლეონიდ ანატოლის-ძე ოსნოვიკოვის გმირობა საკოლმეურნეო ყანის ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მამაცმა პატრიოტმა, კომუნისტმა თავი გასწირა, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე, მხვნელ-მთესველთა შრომის ნაყოფი გადაერჩინა. მის თავდადებულ მოქმედებაში გამოვლინდა საბჭოთა ადამიანის სულის უძლეველი ძალა, ხასიათის კეთილშობილება.

ჩვენი ცხოვრება მდიდარია მოვლენებით, ფაქტებით, ისეთი მოქმედებით, რომლებიც გვიჩვენებენ კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი მშრომელების მორალური სახის შესანიშნავ თვისებებს. რა თქმა უნდა, ეს თვისებები ვლინდებიან არა მარტო განსაკუთრებული, საგანგებო ვითარების დროს, როცა ადამიანში ყოველივე საუკეთესო გმირულ საქციელში ერთიანდება, არამედ ყოველდღიურ შრომით საქმეებში, ყოფაცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში. ახალგაზრდა ენთუზიასტები ნებაყოფლობით, გულის კარნახით მიემგზავრებიან მშენებლობებზე ახალი რაიონების მკაცრ პირობებში, სადაც მუშაობასა და ყოფაცხოვრებას თან ახლავს ბევრი სიძნელე. მოწინავე მუშები შეფობას კისრულობენ ჩამორჩენილებისადმი, პირადი დროის ხარჯზე ეხმარებიან მათ უკეთ დაეუფლონ თავიანთ სპეციალობას, რათა მიაღწიონ საერთო აღმავლობას. კომბაინერები თავდადებით მუშაობენ აღების დროს, ანგარიშს არ უწევენ დაღლილობას, არ ზოგავენ ძალ-ღონეს, რათა დროზე აიღონ მთელი მოსავალი. უანგარობისა და პატრიოტული მოვალეობის ერთგულების, ამხანაგური დამოკიდებულების, საერთო კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომის რამდენი ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი დროის მატიანიდან!

## ხუთწლედი—ვადამდე!

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში

□

### სანგრევში ლ. კირკიტაძის ბრიგადა

ტყიბული. („კომუნისტის" საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). თბილისელი მრთველის მ. არათანაშვილის ინიციატივამ, რომელიც ხუთი დღის სამუშაო ნორმის შესრულებას ოთხ დღეში ითვალისწინებს, ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ქვანახშირის შახტებში. თაოსნობას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი მეშახტე ლევან კირკიტაძე ხელმძღვანელობს.

ბრიგადის წევრებმა მიწისქვეშა სანგრევებში ახლებურად მოაწყეს შრომის ორგანიზაცია. მუშაობის დაწყებამდე მეშახტეები გულმოდგინედ ამოწმებენ გამონამუშევრის ჭერს, რათა გამორიცხონ მადნის ქანების ჩამოცვენა, მზადყოფნაში მოჰყავთ სამუშაო იარაღები. ამ ოპერაციების შესრულებას მეშახტეები 10-15 წუთს ანდომებენ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ძირითად სამუშაოს — ბურღავენ შპურებს, აფეთქებენ სანგრევს, ხის ბიგებით გადაამაგრებენ გამონამუშევარ სივრცეს და მონგრეულ სათბობს ტვირთავენ სამაგრე ვაგონებში.

შრომის ასეთმა ორგანიზაციამ კარგი შედეგი გამოიღო. ნორმით ცვლაში ბრიგადის თვითეულმა წევრმა 11 ტონა ქვანახშირი უნდა მოანგრიოს, ხუთ დღეში კი — 55 ტონა. მუშაობის ახალი მეთოდის გამოყენებით ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში 14-15 ტონა ქვანახშირს ანგრევს, 5 დღეში კი — 70-75 ტონას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში სრულდება.

ამ დღეებში აქ შეაჯამეს ლ. კირკიტაძის ბრიგადის ახლებურად მუშაობის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ბრიგადამ უკანასკნელ ორ თვეს მართლაც თავდადებით იშრომა, გეგმის გადამეტებით ამოიღო ასობით ტონა სათბობი და მიმდინარე წლის 7 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით — 146,4 პროცენტით შეასრულა. ბრიგადამ მრეწველობას გაუგზავნა 5.300 ტონა ზეგეგმითი მადანი.

ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის შეჯიბრებაში დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენეს ბრიგადის წევრებმა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ლ. სოფრომაძემ, გ. ჭიჭაბერიძემ, გ. სოფრომაძემ, გ. კობახიძემ, გ. გოტიაშვილმა.

ლ. კირკიტაძის ბრიგადის მაგალითი ბევრმა ტყიბულელმა მეშახტემ გადაიღო. იმათ შორის, ვინც ხუთი დღის გეგმის შესრულება ოთხ დღეში იკისრა, არიან ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. რობაქიძე, ამავე შახტის № 5 საექსპლოატაციო უბნის წმენდითი სანგრევის მუშები ი. მეცხორაძე, გ. ბრეგაძე, ზ. უფლისაშვილი, ა. ბოჭორიშვილი და სხვ.

შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ფრთებს შლის. მოწინავეთა რიგებს ყოველდღიურად ახალი მეშახტეები, ბრიგადები ემატებიან.



ჭიათურმარგანეცტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ხუთწლედის ვახტაზე დგას. ნახევარი წლის დავალება მან ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულა. მიმდინარე წელს აქ საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი კარიერი და მიწისქვეშა საწარმოო უბანი, რომელიც საგრძნობლად გაზრდის ამოღებული მადნის რაოდენობას. სურათზე: ელმავლის უფროსი მემანქანე ქ. მეგრელი. იგი ცვლის დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და წარმატებით შრომობს ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

## ახალი იერიშის წინ

● მშენებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის დავალება ● ემზადებიან თაღოვანი კაშხალის დიდი ბეტონის სამუშაოებისათვის

...ენგურჰესის მშენებლებმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის 7 თვე სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს. მათ ანგარიშზეა 23 მილიონ 37 ათასი მანეთის სამუშაოები, აქედან მარტო ივლისში შესრულებულია 3 მილიონ 250 ათასი მანეთის სხვადასხვა სამუშაო, რაც გეგმის 101,2 პროცენტია. შვიდ თვეში ჩასხმულია 214.326 კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი ჰიდროტექნიკური ბეტონი.

...ახლა ენგურჰესის მშენებელთა მთელი ყურადღება თაღოვანი კაშხალისაკენ არის მიპყრობილი. აქ მალე დაიწყება დიდი ბეტონის სამუშაოები.

ლ. ბარკაია,
„კომუნისტის" კორ.

## წალენჯიხელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმა შეასრულეს

საუბარი პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივანთან ჯ. კვარაცხელიასთან.

წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა, — განაცხადა „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. კვარაცხელიამ, — გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის, და მიუხედავად ზაფხულის სიცხიანი დღეებისა პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. **14 აგვისტოსათვის მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 15.010 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 15 ათასი ტონისა.**

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 863 ტონით მეტი ნედლეული. მანქანებით მოსაკრეფი 2.956 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 2.344 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". რაიონში შარშანდელთან შედარებით წელს მანქანე...

...კაკაჩიას, გ. მიქავას, ჯ. მებონიას, რ. კვარაცხელიას, ნ. იზორიას შეუფერხებლად გადაჰქონდათ ნედლეული.

რაიონის მეჩაიეთა წარმატებებში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ა. კვარაცხელია). მეურნეობას წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.750 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 2.974 ტონა.

სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ფიფია) ერთ-ერთი მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობაა, რომელიც რაიონში ყველაზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს. აქ ყოველთვის ჩაის მკრეფავი მუშახელი უჭირდათ. მაგრამ შრომატევადი სამუშაო მექანიზმებმა შეცვალა. წლიური გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს მექანიზა...

...ლად გადაამუშავეს.

კოლმეურნეობებიდან ჩაის ფაბრიკებამდე ჩაის ფოთლის გადაზიდვაზე სერიოზული მუშაობა გასწია წალენჯიხის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა (დირექტორი რ. მოსიძე). ავტომძღოლებს ზ. ...

...მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 1.500 ტონა ჩაის ფოთოლი.

## დროშები და პრემიები

ხასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 საერთო-სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა. მან გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიაკუთვნა** გორის № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს. (საქინფორმი).

## შაბათობა ფართოდ შლის ფრთებს

თბილისელები ეხმარებიან სოფლის მშრომელებს

□

ეს სურათი უკვე ჩვეულებრივი გახდა: შაბათს დილაადრიან თბილისიდან მიემგზავრებიან წითელი ტრანსპარანტებით მორთული ავტობუსებისა და სატვირთო ავტომანქანების კოლონები. ეს საქართველოს დედაქალაქის მორიგი ჯგუფი მიემგზავრება სოფლის მშრომელებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში...

მოიყურებოდა პირველი მაისის რაიონის მშრომელთა კოლონა — თხუთმეტამდე ავტობუსი, ორმოცდაათამდე სატვირთო ავტომანქანა გამწკრივდა შეკრების ადგილას — სახაბიროზე. მოსა...

ნისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივები, რომლებმაც იმუშავეს ვარიანისა და შინდისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში, სოფელ მუხრანის კოლმეურნეობაში...

თბილისელ მკრეფავებს გულთბილად შეხვდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშაკები. თბილისიდან ამ მეურნეობამდე არცთუ ისე შორი გზაა. ამიტომ შეფები დილიდანვე შეუდგნენ მუშაობას. აქ საკმაოდ ბევრი საქმეა: კრეფენ ატამსა და ყურძენს, ამუშავებენ ხილს საკონსერვო ქარხნისათვის, მარგლავენ ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, ამზადებენ საკვებს. სტუდენტ აგრონომებთან ერთად ჩინებულად იშრომეს მკრეფავებმაც.

...მეურნეობაში იმუშავა ოქტომბრის რაიონის უდიდესი სამრეწველო საწარმოს — 1 სამკერვალო ფაბრიკის 200 წარმომადგენელმა.

საკმაოდ მძლავრად გა...

...როველოს ავტობაზებისა და „თბილგვირაბმშენის" მძღოლებმა.

პირველმაისელთა ყველაზე დიდი რაზმებია ტელეგრაფის აპარატურის ქარხ...

...მუშაობის ჩვევები არ ჰქონდათ, შესანიშნავად დაეხმარნენ მიწათმოქმედებს ნარგავების გამარგვლაში, ნამჯის გაზიდვასა და ხილის კრეფაში.

...ნეობისადმი ასე გამოიხატა: გამარგლულია 2 ჰექტარი ქარხლის პლანტაცია, 0,5 ჰექტარი ვარდნარი, გაზიდულია 5 ტონა თივა, მოკრეფილია 3 ტონა ხილი.

(საქინფორმი).

## ამას ჰქვია უხვი მოსავალი!

სტავროპოლი. (საქინფორმის კორ.). 76 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე — ასეთი უმაგალითოდ უხვი მოსავალი მოიწიეს სტავროპოლის მხარის იზობილნენის სარწყავ ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე. ეს თავისებური რეკორდია, რომელიც დაამყარა 11,2 ჰექტარზე დათესილმა ახალი, „კავკასიური" ჯიშის საშემოდგომო ხორბალმა.

თესვისწინა დამუშავების პერიოდში ნიადაგში შეიტანეს მინერალური სასუქების მთლიანი ნორმა — 10 ცენტნერი ჰექტარზე, და 700 კუბურ მეტრამდე წყალი. ნიადაგში ოპტიმალური ტენიანობის შესანარჩუნებლად ნათესებს პერიოდულად რწყავდნენ.

## არის პირველი მილიონი!

ორიოლის ლითონსაგლინავი ქარხნის მეტალურგებმა ერთი მილიონი ტონა პროდუქცია გამოუშვეს. ეს ქარხანა ახალგაზრდა საწარმოა, რომელიც მწყობრში ჩადგა 1967 წელს. ქარხანა გახდა ჩვენს ქვეყანაში ფოლადისა და რკინის მავთულის, ბაგირის, ლითონის ბადეების ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელი. (საქინფორმი).

## ჩვენს დიად სამშობლოში

## საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება რატიფიცირებულია

13 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთსულოვნად დაამტკიცა 1971 წლის 9 აგვისტოს ნიუ-დელში ხელმოწერილი...

...ბურჯია აზიის კონტინენტზე, საერთაშორისო მშვიდობის მთლიანი შენობის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. საქმე ეხება ორი დიდი სახელმწიფოს ...

...ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის მთელმა წინა განვითარებამ. ხელშეკრულება იურიდიულად აფორმებს ამ ურთიერთობას და სახავს ახალ ხელსაყრელ პერსპექტივებს სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. იგი გახდება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიაში, არამედ მთელ საერთაშორისო ცხოვრებაში.

შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მჭიდრო მეგობრობა მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი...

ლ. ი. ბრეჟნევმა საგანგებოდ აღნიშნა: „ინდოეთის მთავრობის მშვიდობისმოყვარული დამოუკიდებელი კურსი საერთაშორისო საქმეებში, ...

...XXIV ...

(დასასრული მე-2 გვ.)

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# სანიმუშოდ მოვაწყოთ დათვალიერება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური დათვალიერების მომწყობი კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხაკაია.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი, მდივნად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ჯგუფის გამგე ი. ურუშაძე.

კომისიამ დაამტკიცა 1971 წლის აგვისტო-ოქტომბრის მუშაობის გეგმა, შექმნა საინფორმაციო ჯგუფი. კომისიის წევრები ჩავლენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის შესამოწმებლად.

გაიმართა აგრეთვე დათვალიერების ოპერატიული ხელმძღვანელობის რესპუბლიკური შტაბის სხდომა.

* * *

გაიმართა რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონული შტაბების ხელმძღვანელთა თათბირი.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ.

რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების დათვალიერების მიზნები და ამოცანები შეიტყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ა. კარანაძემ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. აფციაურმა, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ო. ჭეირავამ, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ნიაურამ, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. ანდრონიკაშვილმა.

დათვალიერება იწყება სამ ეტაპად. პირველი ეტაპი 15 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე. ამ პერიოდში მოეწყობა საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების კოლექტივების საერთო კრებები, რომლებზეც განიხილავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა როლის ამაღლების საკითხს.

ამ პერიოდში განიხილავენ რაზმეულების მეთაურთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავებენ და განახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი გაუმჯობესების, კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებით რაზმეულების შევსების ღონისძიებებს. რაზმეულების წევრები გაეცნობიან დათვალიერების მიზნებსა და ამოცანებს, მისი მოწყობის წესს.

ოპერატიული ვითარების მიხედვით, რაც განისაზღვრება მოცემულ ობიექტებსა და ტერიტორიებზე სამართალდარღვევათა გავრცელებით, რაზმეულებში საჭიროების მიხედვით უნდა შეიქმნას მიზნობრივი დანიშნულების ცალკეული ჯგუფები. შემუშავდება კონკრეტული ღონისძიებანი რაზმეულებისათვის მიმაგრებულ ობიექტებსა და უბნებზე მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაზმეულები და შტაბები მიიღებენ საჭირო შენობებს, ინვენტარს, კავშირგაბმულობის საშუალებებს (ტელეფონს, ტრანსპორტს), შესაბამის მოწმობებს, სამახსოვრო წიგნაკებს უფლება-მოვალეობათა შესახებ, სამკერდე ნიშნებს. იურიდიული ცოდნის დონის ამაღლებლად და ოპერატიული ჩვევების მისაღებად, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების შესასწავლად რაზმელებთან სპეციალურ მეცადინეობებს და ინსტრუქტაჟს მოაწყობენ შინაგან საქმეთა, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაკები.

ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყობა ლექციები და საუბრები, რომელთა დროს მსმენელებს განუმარტავენ საბჭოთა კანონმდებლობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მოთხოვნებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მათი წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაციის შესახებ. რაზმეულების მუშაობას ფართოდ უნდა აშუქებდნენ პრესა, რადიო და ტელევიზია, გამოვა კედლის გაზეთები, გაფორმდება ფოტოვიტრინები და ა. შ.

მეორე ეტაპზე — 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე — შეამოწმებენ და შეისწავლიან ყველა რაზმეულის მუშაობას საუკეთესოთა გამოსავლენად. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს რაზმეულებისა და სპეციალური შტაბებისათვის მიმაგრებულ მიკროუბანზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, მორიგეობის გრაფიკების ზუსტად დაცვას, შემოვლისა და მილიციის მუშაკებთან ერთად რეიდების და პატრულირების გრაფიკების ზუსტად დაცვას, ნარკომანებისა და ხულიგნების, აგრეთვე სხვა ელემენტების გამოსწორების მიზნით მათთვის რაზმელთა ინდივიდუალურ მიმაგრებას და ა. შ.

რაზმეულების მუშაობის ანალიზის დროს გაითვალისწინებენ, თუ რა მდგომარეობაა მომსახურების ამა თუ იმ უბანსა და რაიონში დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, თუ როგორ აღკვეთენ სამართალდარღვევებს რაზმელები, საზოგადოებრივი ზემოქმედების რა ღონისძიებებს ახორციელებენ მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, რამდენად ეფექტიანია მათი ღონისძიებანი. უნდა გამოირკვეს, რა რეაგირებას ახდენენ შესაბამისი ორგანიზაციები გამოვლენილ ფაქტებზე, როგორია რაზმელთა შემადგენლობა, მათი იურიდიული და ოპერატიული მომზადება, იცნობენ თუ არა დროებით დებულებას რაზმეულების შესახებ, რაზმელების ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

რაზმეულის მუშაობის შემოწმების შედეგები უნდა განიხილონ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გაერთიანებულ სხდომებზე. აქვე შეარჩევენ 2-3 საუკეთესო რაზმეულს, აგრეთვე საუკეთესო [illegible] მუშაობის დროს გამოიჩინეს ინიციატივა, [illegible] ოპერატიულობა.

დათვალიერების შედეგებს განიხილავენ რაზმეულების რაიონულ და საქალაქო შეკრებებზე; საუკეთესო რაზმეულებს, მეთაურებს და რაზმელებს გადასცემენ ჯილდოებს, გარდამავალ ვიმპელებსა და საპატიო სიგელებს. რაზმელებს და მეთაურებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს, დააჯილდოებენ სამკერდე ნიშნით „წარჩინებული რაზმელი". დადებითი გამოცდილების ფართო პროპაგანდა უნდა გავუწიოთ.

მესამე ეტაპზე — დეკემბერში — რესპუბლიკურ შეკრებაზე შეაჯამებენ დათვალიერების შედეგებს და განიხილავენ რაზმეულების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა ნ. ცხაკაიამ. (საქდესი).

# საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება რატიფიცირებულია

(დასასრული)

მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ინდოეთთან ჩვენი მეგობრული ურთიერთობის ყველა ამ მიმართულებას უქმნის კიდევ უფრო მტკიცე პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძველს. ეს არის თანასწორუფლებიანი პარტნიორების ხელშეკრულება, რომლებიც დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს. ხელშეკრულების მიზანია კიდევ უფრო გავაფართოოთ და განვამტკიცოთ დამკვიდრებული მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების საფუძველზე.

შემდეგ მინისტრი შეეხო ხელშეკრულების ძირითად დებულებებს და განაცხადა:

ხელშეკრულებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ სსრ კავშირი პატივს სცემს ინდოეთის მიუმხრობლობის პოლიტიკას, რაც საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და მსოფლიოში დაძაბულობის შენელების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია; თავის მხრივ ინდოეთის რესპუბლიკა პატივს სცემს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს.

ხელშეკრულება ასახავს ურთიერთდაინტერესებას შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა. მთელ ხელშეკრულებას წითელ ზოლად გასდევს ორივე სახელმწიფოს ღრმა დაინტერესება უზრუნველყონ უშიშროება აზიასა და მთელ მსოფლიოში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისით და, კერძოდ, იმ ვითარების თვალსაზრისით, რომელიც იქმნება საბჭოთა კავშირის საზღვრების სამხრეთით.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვალდებულებას, რომელსაც ხელშეკრულება შეიცავს, რომ მოეწყოს კონსულტაციები იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხნენ, ან შეექმნა თავდასხმის საფრთხე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე თავდასხმის ობიექტი გახდება ან თავდასხმის საფრთხე შეექმნება, მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ კონსულტაციები, რათა თავიდან აიცილონ ასეთი საფრთხე და განახორციელონ შესაბამისი ეფექტიანი ღონისძიებანი თავიანთი ქვეყნების მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების ამ დებულებას უკვე ყურადღება მიაქციეს ბევრ დედაქალაქში და შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე, შეთანხმდნენ, რომ რეგულარული კონტაქტები ექნებათ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გამო, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს ეხება. კონტაქტები განხორციელდება ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეების შეხვედრებისა და აზრთა გაზიარების, ორი მთავრობის ოფიციალური დელეგაციებისა და სპეციალური წარმომადგენლების ვიზიტების გზით და დიპლომატიური არხებით.

ხელშეკრულებაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მხარეები ერთმანეთთან და სხვა სახელმწიფოებთან ითანამშრომლებენ ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა, რომელიც მოიცავს როგორც ატომურ, ისე ჩვეულებრივ იარაღს, კოლონიალიზმისა და რასიზმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის უზრუნველყოფა.

ორივე ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურება ხელშეკრულების დებულებანი, რომ არც ერთი მხარე არ მიიღებს მონაწილეობას მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირებში, აგრეთვე არ იკისრებს რაიმე ვალდებულებებს, რომლებიც შეუთავსებელია ამ ხელშეკრულებასთან, ან ვალდებულებებს, რომლებსაც შეუძლიათ სამხედრო ზარალი მიაყენონ მეორე მხარეს. ამავე დროს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება მიმართული არ არის რომელიმე მესამე ქვეყნის წინააღმდეგ და მიზნად არ ისახავს შელახოს ვინმეს კანონიერი ინტერესები.

თუმცა სულ რამდენიმე დღე გავიდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, იგი უკვე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი რგოლი გახდა. ამ ხელშეკრულების გაუთვალისწინებლად ვეღარავინ ვეღარ ააგებს თავის პოლიტიკას — საბჭოთა კავშირის მიმართ იქნება ეს თუ ინდოეთის მიმართ.

ხელშეკრულებას, რომლის რატიფიკაცია ინდოეთში უკვე მოხდა, მიესალმება საბჭოთა ხალხი, მიესალმება ინდოელი ხალხი, მიესალმება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის ინტერესები. ამავე დროს ხელშეკრულება უსიამოვნო და მოულოდნელი აღმოჩნდა იმათთვის, ვინც გართულებებს ესწრაფვის აზიაში, და არა მარტო აზიაში, ადგენს გეგმებს, რომელთა განხორციელება კვლავ გააძლიერებდა დაძაბულობას. მაგრამ მათგან სხვაგვარ რეაქციას არც უნდა მოველოდეთ.

ა. ა. გრომიკომ გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის ნაყოფიერი განვითარების შედეგები და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ ურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებაში, დაამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების დასკვნის შესახებ გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა, თქვა მან, გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც მიმდინარე წლის 9 აგვისტოს მოაწერეს ხელი ნიუ-დელიში.

საერთო აზრია, რომ საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა, დადეს რა ეს ხელშეკრულება, განახორციელეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის აქცია, რომელიც შესამჩნევ ზემოქმედებას მოახდენს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებაზე აზიასა და მთელ მსოფლიოში. ამ აქციის აზრი, მისი მიზანი სავსებით ცხადია.

მძლავრი სოციალისტური საბჭოთა კავშირი, რომელიც სოციალური პროგრესისა და მშვიდობის ბურჯია, და ინდოეთი თავისი ნახევარმილიარდიანი მოსახლეობით, რომელიც აქტიურად იღვწის ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ახლა უფრო მჭიდროდ გააერთიანებენ თავიანთ მეცადინეობას დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის აგრესიის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის წმიდათაწმიდა საქმეში.

ეს კეთილშობილური მიზნები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის აღიარებული მამოძრავებელი ძალაა. საბჭოთა კავშირი თავისი შექმნის მომენტიდან თანამიმდევრულად და განუხრელად იღვწის ამ მიზნების მისაღწევად, რითაც უდიდესი ავტორიტეტი დაიმსახურა მთელ პროგრესულ კაცობრიობაში. თავის მხრივ ინდოეთმა მეოთხედი საუკუნის დამოუკიდებელი არსებობის მანძილზე თავი გამოიჩინა, როგორც მშვიდობის მებრძოლმა, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის მტკიცე მოწინააღმდეგემ.

ამრიგად, თქვა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა, ხელშეკრულების, როგორც საერთაშორისო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენის, უდიდეს მნიშვნელობას განსაზღვრავს ჩვენი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოების წონაც და მათი პოლიტიკის ხასიათიც.

ეს ჭეშმარიტად სამშვიდობო აქტი შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ძირეულ ინტერესებს. ასახავს იმათ მისწრაფებებს, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების მთელი შინაარსი მოწმობს, რომ იგი გამსჭვალულია მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი თანამშრომლობის გზით. ორივე მხარემ იკისრა ვალდებულება მხარი არ დაუჭიროს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილე ქვეყნებს. ხოლო ერთ-ერთ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმისა, ან ასეთი თავდასხმის საფრთხის შექმნის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ორივე ხელშემკვრელმა მხარემ სასწრაფოდ უნდა განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამ ვალდებულებამ ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობის დაცვის საქმეს, აღკვეთოს სამხედრო კონფლიქტების გაჩაღება და აგრესიული მოქმედების წამოწყება.

ამ ხელშეკრულების, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტის თვალსაჩინო როლი და კეთილშობილური მიზნები, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს თანამედროვე ვითარებაში, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის ფონზე, რომელიც განაგრძობს ბინძურ ომს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის გმირი ხალხების წინააღმდეგ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პირობებში დადებული ხელშეკრულება ხელს უწყობს ინდოჩინეთის პატრიოტთა გმირულ ბრძოლას.

კომისიათა სხდომაზე მხურვალე მოწონებით აღინიშნა ხელშეკრულებაში ფიქსირებული ჩვენი ორი ქვეყნის მისწრაფება ერთად იღვწოდნენ მთელი კაცობრიობისათვის ისეთი კარდინალური პრობლემების გადაჭრისათვის, როგორიცაა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ და ატომურ იარაღს.

ხელშეკრულების პრინციპულ მიზნებს ხაზს უსვამს ისიც, რომ სსრ კავშირმა და ინდოეთმა დაგმეს კოლონიალიზმისა და რასიზმის ყოველგვარი ფორმა და გამოვლინება და დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ მათი საბოლოო და სრული ლიკვიდაციისათვის.

დადებული ხელშეკრულება ისტორიული ნიშანსვეტი იქნება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ორმხრივი ურთიერთობის გზაზე, იგი იწყებს ახალ, უფრო ნათელ ფურცელს ამ ურთიერთობის განვითარებაში. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა ჩვენს სახელმწიფოებრივ ურთიერთობაზე გაცილებით „უფროსია". ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იმ სახელოვან დღემდე, როცა დელის წითელ ფორტზე დამოუკიდებელი ინდოეთის დროშა აფრიალდა, ბრიტანეთის ბატონობის შავბნელ ხანებში ჩვენს ხალხებს შორის დამყარდა ურთიერთსიმპათია. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დიდი ფუძემდებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ინდოეთის როლს მსოფლიო ისტორიულ პროცესში, მას არაერთხელ დაუწერია კოლონიზატორთა წინააღმდეგ ინდოელ პატრიოტთა ვაჟკაცური გამოსვლების შესახებ, საბჭოთა ადამიანები მხურვალე სიმპათიით, ძმური სოლიდარობით ეკიდებოდნენ ინდოელი ხალხის სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას. ინდოეთის უძველესი კულტურა, მისი ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის იწვევდნენ მათს დიდ ინტერესსა და პატივისცემას.

მას შემდეგ, რაც ინდოელმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეს დიდი ხნის მეგობრობა აისახა ყოველმხრივი სახელმწიფოებრივი ურთიერთობის განვითარებით. ეს ახალი ტიპის ურთიერთობაა, რომელიც შესაძლებელი გახდა დედამიწაზე სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლის ეპოქაში.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობას, რომელთაგან პირველი გამარჯვებული სოციალიზმის სახელმწიფო, კომუნიზმის მშენებელი სახელმწიფოა, ხოლო მეორე კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყანაა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზას ადგას, საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, საერთო ბრძოლა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ახლახან დადებული ხელშეკრულება, აღნიშნა ორატორმა, ასახავს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების საერთო მისწრაფებას კიდევ უფრო გააღრმაონ ურთიერთობა მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებისათვის, კეთილმეზობლობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ინტერესებისათვის. იგი ახალ ხელშემწყობ პერსპექტივებს უსახავს სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული ხაზი — ინდოეთთან მეგობრობის განმტკიცებისა და გაფართოების ხაზი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების განხორციელების მკაფიო მაგალითია. ამავე დროს ეს არის პრაქტიკული განსახიერება ჩვენი კურსისა — ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხელშეკრულება კვლავ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის კონსტრუქციულ და მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ეს არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციის გზაზე.

საბჭოთა კავშირი დაეხმარა ინდოეთს საძირკველი ჩაეყარა ინდუსტრიისათვის, რაც ხელს უწყობს მისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებას და პროგრესულ განვითარებას, დაეხმარა აეშენებინა აგრეთვე მეტალურგიული გიგანტები ბჰილაისა და ბოკაროში.

ბ. ნ. პონომარიოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა წლითიწლობით გაფართოვდება და გახდება ბჰილაისა და ბოკაროს ფოლადივით მტკიცე, რომლებიც ჩვენი დიდი ხალხების ძმობის სიმბოლოდ გადაიქცნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიები, რომლებმაც ყოველმხრივ განიხილეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობის, ძმობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შეუდგა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების განხილვას.

ხელშეკრულება ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში. იგი მტკიცე ბაზას უქმნის საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის შემდგომ ნაყოფიერ თანამშრომლობასა და ერთობლივ გამოსვლებს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, აგრესიისა და ჩაგვრის ძალების ხრიკების წინააღმდეგ, კერძოდ, ინდოჩინეთში.

ინდოეთი და საბჭოთა კავშირი სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იცავენ თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. ეს პრინციპები კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულება შეესაბამება ორი სახელმწიფოს ძირეულ ეროვნულ ინტერესებს და მიზნად ისახავს განავითაროს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის შემდგომი თანამშრომლობა აზიის, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის. ამაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. მატჩანოვმა. მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს მოუწოდა დაამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიურ თანამშრომლობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კონოტოპმა. ხელშეკრულება, — თქვა მან, — დიდმნიშვნელოვანი აქტია ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია წარმატებანი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საქმეში. საბჭოთა კავშირი ინდოეთს ეხმარება 60-ზე მეტი ობიექტის მშენებლობაში, რომელთა შორის 37 უკვე მთლიანად ან ნაწილობრივ ამოქმედდა. ჩვენი ქვეყანა ინდოეთს ფართო დახმარებას უწევს მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარებაში.

ამ კეთილშობილურ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მოსკოვის ოლქის მშრომელებიც. მოსკოვის ოლქის ათობით საწარმო ინდოეთში გზავნის თავის პროდუქციას — ჩარხებსა და საგლინავ მოწყობილობას, ხელსაწყოებსა და ტუმბოებს, ქიმიკატებსა და კაბელს. ხელშეკრულება ითვალისწინებს სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას. ეს შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე ინდოელი ხალხის ინტერესებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, გორკის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ს. ს. ცეცეგოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი ხანია იცნობენ ინდოეთის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის ხალხები და ინდოეთის ხალხები გულწრფელი მეგობრული გრძნობებით არიან გამსჭვალული ერთმანეთისადმი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების დადება კანონზომიერი მოვლენაა. ხელშეკრულება გამოხატავს მიზნებს, რომლებსაც ისახავს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა — ეს მიზნებია მშვიდობა და ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. ორატორმა მხარი დაუჭირა წინადადებას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთის რესპუბლიკა, თქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ზ. შაქიროვმა, მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან, და კანონზომიერია, რომ მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო მდგომარეობაზე. ორი ქვეყნის შეთანხმებული ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება — ეს არის მშვიდობის ხელშეკრულება ომის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, ვინიცის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. მ. კავუნმა განაცხადა: სხდომის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ ამ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მისი რატიფიკაცია. ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები აღფრთოვანებით შეხვდნენ ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულება კვლავ ადასტურებს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ნაყოფიერებას, რაც ხაზს უსვამს მის დიდ მნიშვნელობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ისტორიაში, განაცხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. ხელშეკრულება განსაზღვრავს ამ ურთიერთობის განვითარების ისეთ მიმართულებას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. ხელშეკრულება ადასტურებს, რომ სსრ კავშირი და ინდოეთი მზად არიან ერთად იბრძოლონ სამარცხვინო კოლონიური სისტემისა და რასობრივი ბატონობის საბოლოო აღმოფხვრისათვის.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებს დიდი ინდოელი ხალხის წარმატებანი ახალი ინდოეთის მშენებლობის საქმეში და ამაყობენ იმით, რომ მათი შრომის წილია ინდოეთში გამოდნობილ ლითონშიც, წარმოებულ ელექტროენერგიაშიც, გამოშვებულ ჩარხებსა, ხელსაწყოებსა და მოპოვებულ ნავთობშიც. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება ორივე ქვეყანას დაეხმარება გამონახონ ახალი შესაძლებლობანი ურთიერთხელსაყრელი, მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა: საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და აქტიურად ახორციელებს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც განსაზღვრა სკკპ XXIV ყრილობამ.

ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. იგი აფართოებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის ბაზას ურთიერთვალდებულებით, რომ კონტაქტები იქონიონ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემათა გამო. ახალ დოკუმენტში მხარეები გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძონ მეცადინეობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აზიასა და მთელ მსოფლიოში. ხელშეკრულება, რომელიც გამოხატავს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის საერთო მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, ნამდვილად სამშვიდობო აქტია. ეს ხელშეკრულება, რომელსაც ახალ დონეზე აჰყავს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა, შეესაბამება მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო ბრძანებულება განხილული საკითხის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ ხელი მოაწერეს ბრძანებულებას სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ნ. ვ. პოდგორნიმ ხელი მოაწერა აგრეთვე სარატიფიკაციო სიგელს.

(საქდესი).

კომუნისტი
მე-2 გვერდი, კვირა, 15 აგვისტო, 1971 წ.

# მსოფლიო დღეს

## ახდენენ ზეგავლენას

სანტიაგო. 14 აგვისტო. (საქდესი). ჩილეს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საექსპორტო-საიმპორტო ბანკმა უარი განაცხადა სესხი მისცეს „ლან ჩილეს" ავიაკომპანიას სამი ამერიკული სამოქალაქო ავიაციის შესაძენად.

როგორც ნათქვამია განცხადებაში, ბანკმა თავისი უარი იმით დაასაბუთა, რომ ჩილეს ხელისუფლები „მტკიცე გარანტიას" არ იძლევიან ამერიკის იმ კერძო კომპანიებისათვის კომპენსაციის თაობაზე, რომელთა საკუთრებას ნაციონალიზაცია უყვეს.

ჩილეს მთავრობას ეს გადაწყვეტილება მიაჩნია იმის ცდად, რომ გავლენა მოახდინონ და ჩაერიონ საშინაო პროცესში, რომელიც ჩილეს კანონების შესაბამისად მიმდინარეობს.

## ვ. ვ. გირის გამოსვლა

დელი, 14 აგვისტო. (საქდესი). დღეს ინდოეთის პრეზიდენტი ვ. ვ. გირი რადიოთი გამოვიდა და ხალხს მიმართა დამოუკიდებლობის დღის 24 წლისთავთან დაკავშირებით.

ვ. ვ. გირიმ დიდად შეაფასა სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულება „დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მშვიდობის შესანარჩუნებლად აზიასა და მთელ მსოფლიოში", „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ინდოეთის მიუმხრობლობის პოლიტიკის განმტკიცების გზაზე".

## ჯოუ ენ-ლაის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საქდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ პეკინში ინტერვიუ მისცა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველს ჯ. რესტონს.

ამ ინტერვიუმ, წერს ამერიკელ კომუნისტთა გაზეთი „დეილი უორლდი", გაამართლა იმათი შიში, ვინც ვარაუდობდა, რომ პეკინში ნიქსონის მომავალი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანია ჩაფუშოს პარიზის მშვიდობიანი მოლაპარაკება. ინტერვიუს დროს ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, ვიეტნამის საკითხს უპირველესი მნიშვნელობა აქვსო. მაგრამ ინტერვიუ გვიჩვენებს, რომ მშვიდობის საკითხებს მეორეხარისხოვანი როლი მიეკუთვნა მათ საუბარში.

როგორც აღნიშნავს გაზეთი, ჯოუ ენ-ლაის — „თავგამოდებულ ანტიიმპერიალისტურ მებრძოლს" აშკარად უნდა ეგრძნობინებინა პეკინში ნიქსონის ჩასვლის შესახებ, წინადადების პასუხად, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტოს ვიეტნამის შესახებ პარიზის მოლაპარაკების საბოტაჟი.

მას მკაფიოდ უნდა ეთქვა, რომ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის „ნორმალიზაციისათვის" საჭიროა ვიეტნამში აღდგეს მშვიდობა დროებითი რევოლუციური მთავრობის შვიდპუნქტიანი სამშვიდობო წინადადების საფუძველზე.

მშვიდობის ყველა მომხრე, აღნიშნავს „დეილი უორლდი", მოელის, რომ ვინც მარქსისტად და ანტიიმპერიალისტად თვლის თავს, მხარი უნდა დაუჭიროს დროებითი რევოლუციური მთავრობის შვიდპუნქტიან სამშვიდობო პროგრამას და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტურ აგრესიას, სადაც უნდა წარმოიშვას იგი.

ყველაზე ნაკლები, რაც შეიძლება მოგვეთხოვა ჯოუ ენ-ლაისაგან, ის არის, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები გაეცალონ ვიეტნამს წლის დამლევამდე. ჯოუ ენ-ლაის ასეთი რამ არ გაუკეთებია.

## ციებ-ცხელება ბირჟაზე

ლონდონი. 14 აგვისტო. (საქდესი). ლონდონის ბირჟა კვლავ მოიცვა ციებ-ცხელებამ. დოლარის კურსის, მაშასადამე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული გირვანქა სტერლინგის კურსის შენარჩუნების მიზნით, ინგლისის ბანკი იძულებულია შეისყიდოს დოლარები, რომელთა ნაკადი სულ უფრო იზრდება.

მაგრამ ეს ღონისძიებანი ალბათ ვერ იხსნის დოლარს დევალვაციისაგან, რადგან მისი კურსი ოქროს რეალური ფასის მიმართ კვლავ ეცემა. დღეს უნცია ოქროს ფასმა თავისუფალ ბაზარზე 43,30 დოლარს მიაღწია და კვლავ იზრდება.

## ლიბიის ახალი მთავრობა

ტრიპოლი. 14 აგვისტო. (საქდესი). აქ გამოცხადდა, რომ შეიქმნა ახალი მინისტრთა კაბინეტი, რომლის შემადგენლობაში 18 კაცია.

კაბინეტს მეთაურობს ლიბიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე მუამარ კადაფი, რომელსაც უკავია აგრეთვე თავდაცვის მინისტრის პოსტი.

მრეწველობისა და ეკონომიკის მინისტრად დანიშნულია აბდელ სალამ ჯესლუდი, რომელიც ამასთანავე შეასრულებს ფინანსთა მინისტრის მოვალეობას, შინაგან საქმეთა მინისტრია აბდელ მონეიმ ალ-ჰუნი, ინფორმაციის მინისტრი — სალეჰ ბუვაზირი, იუსტიციის მინისტრი — მუჰამედ ალი ალ-ჯადი.

## ტელეტაიპის ლენტიდან

● ვარშავაში დაიწყო პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ოფიციალური მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

● პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედვარდ გერეკმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე ლუბომირ შტროუგალი.

● მაინის ფრანკფურტის პოლიციამ აკრძალა 15 აგვისტოსათვის დანიშნული ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მიტინგი. ნაცისტები აპირებდნენ ამ თავყრილობაზე კვლავ გაელაშქრათ იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს მოაწესრიგოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

● საბერძნეთის ხუნტამ საბერძნეთის მოქალაქეობა ჩამოართვა ყოფილ მინისტრს ანდრეას პაპანდრეუს საზღვარგარეთ „მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის".

□

## სროლა საზღვარზე

დამასკო. 14 აგვისტო. (საქდესი). როგორც სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, იორდანიის ჯარებმა დღეს დილით არტილერიის ცეცხლი დაუშინეს სამოქალაქო და სამხედრო ობიექტებს სირიის ტერიტორიაზე.

სირიის ჯარებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. როგორც სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, სირიას ზარალი არ მოსვლია.

## ანადგურებენ ხილს

რომი. 14 აგვისტო. (საქდესი). ასობით ტონა ხილი უკვე გასრისეს ტრაქტორების მუხლუხებმა, ხილის განადგურების ოპერაცია კი კვლავ სწრაფი ტემპით გრძელდება. იტალიის გაზეთები ბეჭდავენ ფოტოსურათებს, რომლებზეც მსხვილი პლანით ნაჩვენებია, თუ როგორ ჰქელტენ მსხალსა და ატამს ბულდოზერები და ტრაქტორები.

ყოველივე ეს კეთდება ერთადერთი მიზნით — არ დაუშვან ხილის საცალო ფასის შემცირება. მარტო ემილია-რომანიის ოლქში გასულ თვეში დაახლოებით 70 ათასი ტონა მსხალი და 17 ათასი ტონა ატამი გაანადგურეს, ოლქის ბაზრები კი სავსეა „საერთო ბაზრის" სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ხილით.

იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია გლეხობის მთელი წლის შრომის ნაყოფის განადგურების ფაქტებით და სერიოზულ ბრალდებას უყენებს მთავრობას იმის გამო, რომ ვერ გადაუწყვეტია ეს პრობლემა, რომელიც ყოველ წელს აღიძვრება ხოლმე.

კერძოდ, წამოყენებულია მოთხოვნა, რომ შეამცირონ ხილის ფასები, რათა მოსახლეობამ მეტი ხილის ყიდვა შეძლოს.

„ნიუ-იორკ ტაიმსისა" და ამერიკის სხვა გაზეთების მიერ პენტაგონის საიდუმლო მასალების გამოქვეყნებამ მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები გააოცა იმის გამომჟღავნებით, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ბინძურ ომს აწარმოებს ვიეტნამში. ახლა ვერავითარი მეცადინეობა ვერ მიჩქმალავს სიმართლეს: შეერთებული შტატები ვიეტნამში ბარბაროსულ აგრესიას ახორციელებენ.

(გაზეთებიდან).



გამჟღავნებული საიდუმლოებანი.
კარიკატურა ავსტრიის გაზეთ „კრონენ ცაიტუნგიდან".

[illegible]

# ადამიანი მოვიდა მიღებაზე...

[illegible] ...რა არ ვიცით. თვითეული წლის მტკიცედ ჩართულია დღევანდელი ჩვენი ისტორიის მსვლელობაში ისევე, როგორც ნაკადულები ერთიანდებიან ოკეანესაკენ მსრბოლავ ერთიან დინებად.

თვითეულისათვის, ვინც კი მდინარის ნაპირზე გაზრდილა, აქვს მისწრაფება — მიაღწიოს მის სათავეებს, საკუთარი თვალით ნახოს, როგორ იწყება მდინარე. ეს მარტო ცნობისმოყვარეობა როდია. ეს მიზნის დასაწყისის შეცნობის დიდი წყურვილია.

ეს იმიტომ რომ, პირველი წლების ქრონიკას როცა ფურცლავ, გაოცებს, თუ რა რომანტიული იყო მისი ყოველი დღე. თვალწინ გეშლება: ომის ქარცეცხლი, ძველი რუსეთის ნანგრევები — ახალი რუსეთის, დიადი საბჭოთა ქვეყნის სიჭაბუკე; მგზნებარე და ამავე დროს ნაზი ადამიანები, რომლებიც შეუბრალებლად ანგრევენ ძველს და ძერწავენ ახალ სამყაროს; ბოლშევიკების სახელოვანი გვარდია, მათი დაუცხრომელი ინტერესი უბრალო ადამიანებისადმი, ბრძოლა მათი კეთილდღეობისათვის.

მათი მთელი მოღვაწეობა ადამიანებთან ურღვევი კავშირის და ზრუნვის უბადლო მაგალითია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ერთ ამხანაგს ეუბნებოდა: „თქვენ მოგმართავს საჩივრით, თხოვნით, მაშ წარმოიდგინეთ თქვენი თავი მომჩივანის ადგილზე, შეეცადეთ სულით და გულით გაიგოთ მისი მდგომარეობა“.

შესანიშნავი ლენინური რჩევაა!

საბჭოთა ადამიანი ჩარხთან თუ საკოლმეურნეო მინდორში, მშენებლობაზე თუ დაწესებულებაში რომ მუშაობს, ცდილობს რაც შეიძლება მეტი გააკეთოს სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

[illegible] ...დაწესებულებებში მთხოვნელთა მიღების ორგანიზაციას და ამასთან დაკავშირებით მოითხოვდა ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში არა მარტო შენობის შიგნით, არამედ გარეთაც გამოკრული ყოფილიყო წესები მთხოვნელთა მიღების დღეებსა და საათებზე, რომ მთხოვნელთა შესვლა დაწესებულებებში ყოფილიყო სისტემატური.

[illegible] იყო დაყენებული საქმე მ. ი. კალინინის მისაღებში. იგი მუდამ უნერგავდა მისაღების მუშაკებს აზრს იმის შესახებ, რომ ისინი ასრულებდნენ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ სამუშაოს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჩივრების განხილვის საკითხში უნდა შეგვეძლოს პოლიტიკის გამოყენება, რადგან ჩვენს პირობებში ყოველი გადაწყვეტილება პოლიტიკაა, და მოითხოვდა, რომ საჩივრებისა და განცხადებების განხილვისას ადგილი არა ჰქონოდა ორჭოფ და აბნეულ გადაწყვეტილებებს, რომელთა გაგებაც შეიძლება ასეც და ისეც. მოითხოვდა, რომ გულისხმიერება გამოეჩინათ მიღებაზე მოსულთა მიმართ.

ან კიდევ: ერთხელ იმ წლებში, როცა სერგო ორჯონიკიძე პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად მუშაობდა, მისმა თანაშემწემ სიმუშკინმა გამოაკრა განცხადება: „ამხანაგი ორჯონიკიძე იღებს კენტ რიცხვებში 12-დან 3-მდე“.

სერგომ ნახა.

— რომელმა სულელმა მოიგონა?

სიმუშკინმა აღიარა:

— მე.

სერგო:

— ასეც ვიცოდი! თუ გლეხი მოვიდა ან მუშას სასწრაფო საქმე აქვს, როგორ მოიქცეს, შენი აზრით, იგი მიღების დღეს დაელოდოს?.. ახლავე დაწერე სხვა განცხადება: „ორჯონიკიძეს მიღება აქვს ყოველ- [illegible]

...საქალაქო, ზესტაფონის, ხაშურის, აბაშის და სხვა ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციებში დადგენილია მშრომელთა მიღების გარკვეული დღეები და საათები. მთხოვნელებს იღებენ იმისათვის მზადყოფნით, რომ საქმე გადაწყვიტონ ოპერატიულად. მიუხედავად იმისა, თუ საქმე რით დამთავრდა, იშვიათად გამოდიან ადამიანები აქედან უკმაყოფილონი, განაწყენებულნი. თუ მთხოვნელი რაიმეში ცდება, შეუძლიათ ეს ისე ადამიანურად და დამაჯერებლად განუმარტონ, რომ ბოლოს და ბოლოს მან თავისი შეცდომა იგრძნოს.

მაგრამ რა დასამალავია, ამ საქმეში, როგორც ეს აღინიშნა პარტიის XXIV ყრილობაზე, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება გვაქვს. ზოგიერთი მუშაკი ივიწყებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას და ყოველთვის ვერ ამართლებს იმ დიდ ნდობას, რომელიც მისდამი გამოიჩინეს პარტიულ ან სახელმწიფო აპარატში სამუშაოზე მისი დანიშვნით. ასეთი მუშაკები როგორც წესი, უყურადღებოდ ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს, ცდილობენ თავიდან მოიშორონ მთხოვნელები და ამით სახელსაც იტეხენ და იმ დაწესებულებასაც არცხვენენ, რომლებშიც მუშაობენ. ზოგიერთ ორგანიზაციაში, საერთოდ, არ არსებობს მნახველთა მიღების გრაფიკი.

რა თქმა უნდა, ყველა საჩივარი როდია სამართლიანი და ყველა განცხადების დაკმაყოფილება როდი შეიძლება. თუმცა ეს კი არ იწვევს ხშირად ადამიანის განაწყენებას, არამედ საქმის გაჭიანურება, გულგრილობა, კაზიონური პასუხი, სხვაზე მითითება: „ეს ჩემი საქმე არ არის“, „ეს მე არ მეხება“...

სერიოზულია საკითხი — ვინ იღებს მთხოვნელებს. ხშირად ამ მისიას მეორეხარისხოვან მუშაკებს ავა- [illegible]

...შეუძლია გაიგოს მისი გაჭირვება. ვლადიმერ ილიას-ძე, როცა კაბინეტში მუშა, გლეხი და წითელარმიელი შედიოდა და გაუბედაობა, მორცხვობა ემჩნეოდა ბელადის დანახვაზე, ასეთ შემთხვევაში მაგიდას სცილდებოდა, თავისებური სწრაფი ლაპარაკით — შემოსულისაკენ გაემართებოდა და ეტყოდა: „ჩამოჯექით, ამხანაგო“, და თვითონაც ჯდებოდა, მაგრამ არა მაგიდასთან, არამედ მის გვერდით. მომსვლელებში ქრებოდა გაუბედაობის, შიშის ყოველგვარი ნატამალი და მყარდებოდა უშუალო, გულღია საუბრის ატმოსფერო.

იყო შემთხვევა, მასთან მიდიოდნენ გამოუცდელობით ან მუშაობის სიმძიმით რწმენადაკარგული, დაღლილი ამხანაგები. ლენინთან საუბარი მათთვის უბრალოდ მალამო იყო. იგი ამ ამხანაგებს ამხნევებდა, უბრუნებდა რწმენას, განწყობილებას, და რაც მთავარია, ყოველივე ამას იგი აღწევდა ასეთი ადამიანებისადმი არა მოთხოვნების შემსუბუქებით, არამედ თვითეულისადმი ინდივიდუალური მიდგომით.

ყოველ ადამიანს განსხვავებული ხასიათი და ტემპერამენტი აქვს. ერთი უმალ ფეთქდება, მეორე აუღელვებელი რჩება. მაგრამ ადამიანი, რომელიც მიღებას აწარმოებს, მოვალეა იყოს ყურადღებიანი და ჰქონდეს ბოლომდე მოსმენის უნარი.

ვითომ და რა დიდი სიბრძნე უნდა ადამიანის მოსმენას? უსმინე და ეგ არის. ნუ შეაწყვეტინებ, ნუ აჩქარებ, დაიმახსოვრე რასაც ამბობს — იტყვის ზოგიერთი. მაგრამ სავსებით ასე როდია. ადამიანს თუ რაიმე სტკივა, უნდა შეძლო მისი გაგება და ისე მიღება, თითქოს პირადად შენთვის ეტკინებინოთ. შეხვდები [illegible] ფაქტს, იქნებ წვრილმანსაც, უნდა შეძლო ამ ფაქტში უფრო დიდი რაიმეს დანახვა და ამავე დროს გააკეთო საჭირო ანალიზი და განზოგადება.

მიღებაში მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც იღებს, და ის, ვისაც იღებენ. ჩვენ უფლება გვაქვს უფრო მეტი მოთხოვნები წავუყენოთ პირველის საქციელს. მაგრამ მეორემაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის მოვიდა ორგანიზაციაში, რომ ელაპარაკება ისეთ პირს, რომელსაც, როგორც მას რკინა კი არა, ნერვები აქვს. რა დასამალავია, ზოგჯერ მიდიან ხელების ქნევით ე. წ. გამოუსწორებელი განმცხადებლები, მყვირალა უტიფრები, რომლებმაც თავიანთი შეთითხნილი საჩივრებით გააწამეს ათობით დაწესებულება და ასობით მუშაკი. ცხადია, ეს ერთეულებია, თუმცა სამწუხარო ერთეულები.

ხალხი ამბობს: სიტყვა მახვილზე მკვეთრად ჭრის, მისგან მიყენებული ჭრილობა არ ხორცდებაო. ამიტომ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ კეთილი სიტყვების თესლი იძლევა ყველაზე დიდ მოსავალს ადამიანთა გულში. კარგი, თბილი სიტყვა ადამიანს თავისი ძალისადმი რწმენას მატებს, ცუდ, უსამართლო სიტყვას კი შეუძლია ჩაკლას მასში საუკეთესო მონაცემები, დაუკარგოს საკუთარი თავისადმი რწმენა.

საკმაოდ გავრცელებულია ჯერ კიდევ ისეთი მოვლენა, როგორიც არის სიმართლის პირდაპირ თქმის „შიში“. ხდება ხოლმე, რომ კაცს უფრო ეადვილება დაპირება, ვიდრე უარის თქმა. მაგრამ არსი ერთია, შედეგი ერთია, მიუხედავად იმისა, ცივი ანგარიშით იყო ნაკარნახევი დაპირება, თუ რბილი ხასიათით. ცხადია, სასიამოვნო არ არის უარის თქმა მთხოვნელისათვის, რომელიც მიღებაზე იმედით მოვიდა. მაგრამ განა უკეთესია კეთილმოსურნედ, მაგრამ ტყუილუბრალოდ დააიმედო ადამიანი?

ასეც ხდება: იღებენ მთხოვნელს — მოდით, ასე შევთანხმდეთ, მე კალენდარზე აღვნიშნავ თქვენს ტელეფონს, როგორც კი საჭირო ქაღალდები მოვა, აუცილებლად დაგირეკავთ. ჩასთვალეთ, რომ გაკეთებულია.

გადის ერთი კვირა — დუმილია. გადის თვე — ისევ დუმილია. კვლავ მოდის მთხოვნელი. მოსული შეახსენებს...

ცხადია, კალენდარზე ჩანაწერის გაკეთება საჭიროა. მაგრამ ძლიერ საწყენია, როცა დანაპირებს მუშაკი მალე ივიწყებს.

მართლაც, თუ არ შეგიძლია — პირდაპირ თქვი. არ შეგიძლია შესრულება? გამოიჩინე ვაჟკაცობა, განმარტე რატომ. ადამიანები გაიგებენ.

ყოველთვის უნდა ვაკონტროლებდეთ, რა ბედი ეწია განცხადებებს, დიდი ყურადღებით ვმუშაობდეთ მშრომელთა წერილებზე. ყოველთვის უნდა ვაკონტროლებდეთ, რა ბედი ეწია განცხადებაზე დადებულ რეზოლუციას. რამდენჯერ ყოფილა: იმედით წასულა მთხოვნელი კარგი რეზოლუციით, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი რეზოლუცია რეზოლუციად დარჩენილა? რეზოლუციაც ხომ სიტყვაა, თანაც ქაღალდზე დაწერილი სიტყვა.

გვაგონდება ერთი შემთხვევა: ერთერთი დაწესებულების ხელმძღვანელმა, მიღება რომ დაამთავრა, ღრმად ამოიოხრა და თქვა: „როგორც იქნა მოვრჩი წამებას“. ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ მისთვის წინა ორი საათი მხოლოდ უსიამოვნო დავიდარაბა, მძიმე ხვედრი იყო.

აშკარაა, ასეთი ადამიანი ჯეროვნად ვერ აფასებს მთელ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია როგორც ხელმძღვანელს. ნათელია, რომ მთხოვნელი როცა მიღებაზე მოდის, მიმართავს არა უბრალოდ პეტრეს ან პავლეს, არამედ ხელისუფლების წარმომადგენელს. ადამიანი მიღებაზე მოდის ღრმა რწმენით, რომ მას ყურადღებით მოუსმენენ. მის წინადადებებს ყოველმხრივ განიხილავენ.

ეს რწმენა ემყარება პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას. ყოველთვის უნდა გვესმოდეს დიდი ლენინის მომთხოვნი ხმა წარმოიდგინეთ თქვენი თავი მომჩივანის ადგილზე, ეცადეთ გულით და სულით გაიგოთ მისი მდგომარეობა.

ჩათვალეთ, რომ ეს თქვენ არ გიშვებენ უფროსთან, რომელთანაც მოხვედრას ფიქრობთ, წარმოიდგინეთ, რომ ეს თქვენ არა გაქვთ ბინა, რომ ეს თქვენ ეძებთ თავშესაფარს ოჯახისათვის. და მაშინ ალბათ გამონახავთ შესაძლებლობას, რომ დაეხმაროთ მთხოვნელს.

ეს არ არის ფილანტროპია, — ხაზს უსვამდა ბელადი, — ეს ადამიანისადმი კომუნისტური მიდგომაა.

მართლაც, განა არ შეიძლება ყოველ ჩვენს დაწესებულებაში მოვაწყოთ მთხოვნელთა ნორმალური მიღება? არ დარჩეს უყურადღებოდ არცერთი განცხადება და თხოვნა?

პატარა საქმე ხომ არ არის, მიღებაზე მოვიდა ადამიანი. გასაგებია, რომ იგი მოვიდა იმიტომ, რომ მას რაღაც ღრმად აწუხებს.

მოვიდა იმედით... მოვიდა კეთილი რჩევისათვის... მოვიდა რეალური დახმარებისათვის.

ფილიპე მახარაძე.

## ახალი ლექსები



ორმოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა რაც ქართველმა საზოგადოებრიობამ გაიცნო პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა, [illegible] ახლახან დაბადების 70 წელი შეუსრულდა. [illegible]

ნიკოლოზ ჩაჩავას კალამი მთელი ამ ხნის მანძილზე სამშობლოს ერთგულებას და სიყვარულს უმღერის. ამასთან ერთად იგი საბავშვო მწერლობის ნიჭიერი წარმომადგენელიც არის.

ქვემოთ ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ პოეტის ორ ახალ ლექსს.

### ნიკოლოზ ჩაჩავა

### მეგობარ მხატვარს

[illegible]

### სასიმღეროა ქვეყნად ყოველი

[illegible]
რომ ეს სიმღერა აღარ წყდებოდეს,
იყოს საამოც, იყოს მახვილიც.
განა ამქვეყნად მისთვის მოვედით,
რომ უსიმღეროდ წავიდეთ ისევ.
სასიმღეროა ქვეყნად ყოველი,
სასიმღეროა უსაზღვრო ცისებრ.

ჩვენი ინტერვიუ

# რატომ გვაკლია წყალი?

გვესაუბრება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

**შ. გუხრაშვილი.**

თითქმის თვეზე მეტია ჩვენს დედაქალაქში მეტად მშრალი, ცხელი ზაფხულის დღეებია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 34-35 გრადუსზე დაბლა არ იწევს. ასეთ დროს წყლის მოხმარება ქალაქში რამდენჯერმე გაიზარდა, ბევრ რაიონში კი მოსახლეობა თანაბარი რაოდენობით ვერ იღებს წყალს. ამის გამო სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ, გვიგზავნიან რედაქციაში წერილებს, ჩივიან. აინტერესებთ შეიტყონ, რატომ აკლიათ წყალი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი სწორედ ამ საკითხის გასარკვევად ეწვია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შოთა გუხრაშვილს და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

— ამ უკანასკნელ ხანებში პრესაში ხშირად გვხვდება ცნობა, რომ ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების ბევრ ქალაქში მოსახლეობა საკმაო რაოდენობით ვერ იღებს სასმელ წყალს. რას გვეტყვით ამის შესახებ და როგორია ამ მხრივ საქმე ჩვენს დედაქალაქში?

— წყალმომარაგების პრობლემა მთელ მსოფლიოში მწვავედ დგას. სასმელად გამოსადეგი მტკნარი წყლის რესურსები მსოფლიოში მცირეა. ამის გამო ბევრი ქვეყნის მეცნიერები მუშაობენ, რომ მიაღწიონ ზღვის წყლის გამტკნარებას, მიმართავენ აისბერგების დადნობასაც კი წყლის მარაგის შესაქმნელად.

თუ გადავხედავთ იუნესკოს მონაცემებს, ყოველწლიურად წყლის უკმარისობისა და წყლის დაბალი ხარისხის გამო მსოფლიოში 500 მილიონი კაცი ავადდება და აქედან 10 მილიონი ადამიანი იღუპება.

თუ როგორია წყლის კომპლექსური მიწოდება დღე-ღამეში ერთ სულ მოსახლეზე, მრეწველობისა და სხვა მომხმარებლების ჩათვლით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, ამის შესახებ მოგახსენებთ: მოსკოვში იგი შეადგენს 700 ლიტრს, პარიზში — 500, ლონდონში — 260, ტოკიოში — 320, სტოკჰოლმში — 400, ამსტერდამში — 210 ლიტრს. თბილისში კომპლექსური ნორმა შეადგენს 650 ლიტრს, ხოლო უშუალოდ ერთი მოსახლის მიერ დღეღამეში დახარჯული წყალი საშუალოდ 300 ლიტრს აღწევს.

მაშასადამე, თბილისელები სხვა ბევრი დიდი ქალაქების მოსახლეობასთან შედარებით არც ისე ცოტა წყალს იღებენ, მაგრამ წყლით მაინც არასაკმარისად არიან უზრუნველყოფილნი.

— რატომ ხდება, რომ ქალაქის სხვადასხვა რაიონში მოსახლეობა წყალს ერთნაირი რაოდენობით ვერ იღებს? რედაქციაში განსაკუთრებით ბევრი საჩივარი მოდის საბურთალოსა და ვარკეთილის დასახლებებიდან. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— როგორც ცნობილია, თბილისის მოსახლეობა წყალს იღებს მდინარე არაგვის წყალსადენიდან. სასმელი წყალი ამ მხრიდან მოედინება, მილსადენით იგი გაივლის ზაჰესს, ავჭალას, ლენინის რაიონს, გზადაგზა ხდება მისი განშტოება მთელ ქალაქში და ასე გადის ქალაქის ბოლომდე. მაგრამ თუ მოხდა განშტოებებში წყლის ნორმაზე მეტი ხარჯვა, რასაკვირველია, წყალი ქალაქის მეორე ბოლომდე საკმაო რაოდენობით ველარ მიაღწევს.

ქალაქის მთელ რიგ მიკრორაიონებში წყლის მიწოდება გარკვეული გრაფიკით წარმოებს. მაგალითისათვის ავილოთ საბურთალოს მასივი. აქ წყალს ნორმაზე მეტს ვაძლევთ. მაგრამ მოსახლეობა მაინც შეფერხებით მარაგდება. განსაკუთრებით ზედა სართულები. რაშია საქმე? აქ ბრალი თვით მოსახლეობას მიუძღვის. წყალს ბევრნი უყაირათოდ, არაეკონომიურად ხარჯავს.

ამას წინათ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ქალაქის რაიაღმასკომებთან შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ აღმასკომების თავმჯდომარეების პირველი მოადგილეები. ამ კომისიების მიერ ჩატარებულმა რეიდებმა გამოავლინა წყლის უყაირათოდ ხარჯვის აღმაშფოთებელი ფაქტები. აღნუსხულ იქნა ათასობით შემთხვევა, როცა მობინადრეები გაგრილების მიზნით რწყავდნენ ასფალტს, სახლის სახურავებს, საათობით ჰქონდათ მიშვებული წყალი ბოსტნებში, ბაღებში, მწვანე ნარგავთა მოსარწყავად, მაშინ როცა მეზობელ დასახლებაში ხალხს სასმელი წყალი არ ჰქონდა. რეიდის მონაწილეები წააწყდნენ ასეთ ფაქტსაც: პირველ სართულზე მცხოვრები მოქალაქე ეზოს რწყავდა, უამრავ წყალს ხარჯავდა, მაშინ როცა იმავე შენობის ზედა სართულში წყალი არ ადიოდა და ამის შესახებ კი თვით მობინადრენი არაფერს ამბობდნენ.

რეიდის მონაწილეებმა მოსახლეობას ჩამოართვეს 15 კილომეტრამდე სიგრძის რეზინის მილი, ხოლო 250-მდე წყლის დაუზოგავად მხარჯავის საქმე გადაეცა საჯარიმო კომისიებს.

აღმოჩნდა ისეთი ფაქტებიც, როცა თვით ოჯახებში დაზიანებული აქვთ ონკანები, დღედაღამ უქმად იქცევა წყალი. იმისათვის, რომ მოსახლეობას დავეხმაროთ დროულად შეაკეთოს დაზიანებული ონკანები და წყლის სხვა არმატურა, დედაქალაქის სამ რაიონში — 26 კომისრის, კიროვისა და ლენინის რაიონებში სახლმმართველობებთან შეიქმნა წყლის არმატურისა და საერთოდ წყალსადენის შიდაქსელების შემკეთებელი სპეციალური სახელოსნოები, ასეთი სახელოსნოები მომავალ წელს ყველა რაიონში გვექნება.

რეიდის მონაწილეებმა საწარმოებსა და ცალკეულ დაწესებულებებში, მშენებლობებზე გამოავლინეს წყლის უყაირათოდ ხარჯვის მრავალი ფაქტი. ბევრგან ონკანები მოშლილი იყო და წყალი ილვრებოდა, დანერგილი არ არის წყლის ხარჯვის პროგრესული მეთოდები — წყლის მეორადი გამოყენება, წყლის ცირკულაცია და სხვ.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში წყლის უყაირათოდ ხარჯვის შესახებ სპეციალურად იმსჯელა პარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ და საწარმოს ხელმძღვანელებს მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო. ბიურომ რაიონულ კომიტეტებსა და რაისაბჭოებს დაავალა მიიღონ სათანადო ღონისძიებები, რომ აღიკვეთოს საწარმოებში, მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლების მიერ წყლის უყაირათოდ ხარჯვა.

მაშასადამე, ამ კომისიების მუშაობამ ერთხელ კიდევ გამოარკვია, რომ ქალაქში წყლის ნაკლებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი წყლის უსარგებლოდ ხარჯვაა.

— როგორია თბილისის წყალმომარაგების პერსპექტიული გეგმა, წყალსადენის რა ახალი ობიექტები შემატება ჩვენს დედაქალაქს უახლოეს მომავალში?

— გასულ ხუთწლედში თბილისის წყალმომარაგებისათვის 15 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. აშენდა მრავალი სატუმბავი სადგური, გაფართოვდა წყალსადენის სათავე ნაგებობანი, რამაც 1970 წელს მოგვცა 50 მილიონი კუბური მეტრით მეტი წყალი, ვიდრე 1966 წელს. მიმდინარე ხუთწლედში თბილისის წყალმომარაგების განვითარებაზე მარტო ქალაქის აღმასკომის ხაზით დაიხარჯება 20 მილიონ მანეთზე მეტი.

ამჟამად მიმდინარეობს ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, რომელზეც დამოკიდებულია ქალაქის წყალმომარაგების შემდგომი განვითარება. ჟინვალის წყალსადენში შედის საფილტრავი სადგურიც. იგი თბილისის „ზღვასთან“ აშენდება. აქ მოხდება წყლის გაფილტვრა და ქალაქისათვის მიწოდება.

ეს ნაგებობანი დამთავრდება 1975 წლისათვის. მანამდე კი თბილისის საბჭოს აღმასკომის მიერ დასახულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით ქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად დამატებით მიიღებს წამში 500-600 ლიტრ წყალს.

აშენდება მრავალი მაგისტრალი, გაიზრდება რეზერვუარების მოცულობა, გაფართოვდება წყალსადენების ქსელი.

უკვე დამთავრდა ე. წ. IV ხაზის ინტენსიფიკაციის სამუშაოების პირველი რიგი, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა საბურთალოს რაიონის წყალმომარაგება ვაკე-საბურთალოს გზამდე. მთლიანად სამუშაოები დამთავრდება სექტემბრის დასაწყისისათვის, რის შედეგადაც გაუმჯობესდება საბურთალოს მასივის წყალმომარაგება. ასევე აღმასკომის გადაწყვეტილებით უახლოეს წლებში დასახულია სხვა მიკრორაიონების წყალმომარაგების გაუმჯობესება.

როგორც ცნობილია, ბევრი თბილისელი ისვენებს ქალაქის მახლობელ კურორტებზე, სადაც დღემდე წყალმომარაგების საკითხი მოუგვარებელია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით წყნეთისა და სხვა საგარეუბნო კურორტებისათვის უნდა აშენდეს ახალი წყალსადენი, რომლის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება. მისი პირველი რიგის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალი წლის ზაფხულის პერიოდისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს წყალსადენი თავისი ტექნიკური მონაცემებით უნიკალურია. წყლის მიწოდება მოხდება 600 მეტრი აწევის სიმაღლის ტუმბოებით, მაშინ როცა თბილისში ჯერჯერობით ყველაზე მაღალი აწევის ტუმბო 360 მეტრია.

ასე რომ ყველაფერი კეთდება, რათა თბილისელებმა მიიღონ რაც შეიძლება მეტი წყალი. მაგრამ თუ თვითონ მოსახლეობა არ დაიცავს წესრიგს, არ აღკვეთს წყლის უსარგებლოდ, უყაირათოდ ხარჯვას, სიძნელეები კვლავ გვექნება. საჭიროა ვისწავლოთ წყლის ეკონომიური ხარჯვა, არ დავუშვათ უსარგებლოდ დაღვრის შემთხვევები. მაშინ წყალი ყველას გვექნება და დაცული იქნება ადამიანისათვის ყველაზე აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის შენაერთში რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, ქართველების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ჩეხები, სლოვაკები, ხორვატები, პოლონელები, რუმინელები, უნგრელები, ფინელები, გერმანელები, იტალიელები, ბულგარელები, ჩინელები.

კიკვიძის შენაერთში ინტერნაციონალური ნაწილების საგმირო საქმეებზე მოგვითხრობს ა. ირემაძის „ცოცხალი ლეგენდა“. მწერალი ამჟამად წერს „ცოცხალი ლეგენდის“ მეორე წიგნს.

წიგნისათვის საჭირო მასალების შესაგროვებლად ავტორმა ამას წინათ იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში, გაეცნო ინტერნაციონალურ ნაწილებზე არსებულ ლიტერატურას, მის ავტორებს. ერთ-ერთ მათგანთან, დოქტორ შტეფანე შტვრტეცკისთან საუბრის დროს ცნობილი გახდა, რომ გამოჩენილმა ჩეხმა მწერალმა იოზეფ სეკერამ დაწერა ვრცელი რომანი „ჩეხური რაფსოდია“, რომელშიც ასახულია სამოქალაქო ომის გმირული ამბები, კერძოდ კიკვიძის ინტერნაციონალური ნაწილების თავგანწირული ბრძოლები საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ.

„კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ რომანიდან.

# ქართველი გმირი

**ნაწყვეტი ჩეხოსლოვაკიელი მწერლის ი. სეკერას რომანიდან „ჩეხური რაფსოდია“**

რუსეთის ტელეგრაფის მავთულებმა ელვის სისწრაფით გაავრცელა შემზარავი ამბავი: თავდასხმა მოაწყეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე. მოსკოვში მიხელსონის ქარხანაში ილიჩს ესროლა ესერმა ქალმა. იგი შეიპყრეს. მაგრამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ? ლენინის სიცოცხლეზე თავდასხმა!..

განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონები. იცოცხლებს თუ არა ლენინი? ყველა ამ კითხვით იყო აღგზნებული 1918 წლის 31 აგვისტოს. მხოლოდ




ამაზე ლაპარაკობდნენ წითელი არმიის ნაწილებში, რომლებიც დისლოცირებული იყვნენ ფილონოვოში. დივიზიის მეთაურმა ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძემ თათბირზე მოიწვია პოლკის მეთაურები და მათი მოადგილეები. ჯარის ქვეგანაყოფებში კი ამ დროს მიტინგები ტარდებოდა. სიხრის ლეგიონის პირველ ასეულში მებრძოლთა წინაშე სიტყვით გამოვიდა იან პულკანი.

— ამხანაგო წითელარმიელებო! — აღელვებით წარმოთქვა იანმა, — დადგა ჟამი, როცა ჩვენ ერთხელ კიდევ დემონსტრაციულად უნდა ვაჩვენოთ ჩვენი დარაზმულობა, ერთ[illegible] კიდევ უნდა ვაჩვენოთ, რომ რუსი ძმების ერთგული ვართ. მტერმა შიგ გულში დაგვარტყა. ლენინს ესროლეს. მაგრამ ლენინი ცოცხალია! ჩვენ მომავალშიც ვიომებთ მისი დროშით, ვიბრძოლებთ მსოფლიო რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. ჩვენ სოციალისტი-ინტერნაციონალისტები კომუნიზმის არმიის მოხალისენი ვართ. რუსი ამხანაგები ჩვენ გვიყურებენ როგორც ჩეხოსლოვაკიის მომავალი სოციალისტური რევოლუციის მებრძოლებს. ჩვენი ვალია გავამართლოთ ნდობა.

ორატორის ხმა [illegible]. პირველი წუთის მღელვარებამ გაიარა. პულკანის ხმა თვით უკანასკნელ რიგებშიც კარგად ისმოდა.

— ჩვენ ყოველდღე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, — განაგრძობდა პულკანი, — რომ ჩვენი მტრები — თეთრგვარდიელები, ესერები, კულაკები, კაპიტალისტები — ყველაფერს იკადრებენ. მათ წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ეს ჩვენთვის მკაცრი სკოლაა, ამხანაგებო! იმას, რასაც აქ, რუსეთში, შევისწავლით, თან წავიღებთ ჩეხოსლოვაკიაში და ჩვენთან სამშობლოში შევქმნით ბოლშევიკურ, ნამდვილად მუშათა ლენინურ პარტიას.

პულკანმა თავის გვერდით მდგომ ასეულის მეთაურს ვოიტეხ ბარტაკს შეხედა. მას კი შეგროვილი მებრძოლებისათვის, განსაკუთრებით ახალი მოხალისეებისათვის მიეპყრო თვალი, იმათგან კი არავინ არ არიდებდა თვალს მეთაურის გამომცდელ მზერას. იან პულკანი განაგრძობდა ლაპარაკს. მან გაიხსენა პეტროგრადის 1917 წლის ოქტომბრის ამბები. პულკანი მოჰყვა პროლეტარიატის დიდ გამარჯვებაზე, რომელსაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ხელმძღვანელობდა.

— მხოლოდ საზიზღარ მშიშარებს, — ამბობდა პულკანი, — შეეძლოთ შეყოყმანებულიყვნენ შეიარაღებული აჯანყების დროს და თავი აერიდებინათ ზამთრის სასახლეზე იერიშში მონაწილეობისათვის. მე იქ ვიყავი, ამხანაგებო, მე დავინახე გმირობა ხალხისა, მისი ერთგულება ლენინისადმი. შეგიძლიათ მერწმუნოთ მე! — მქუხარე ტაშმა დაფარა პულკანის ბოლო სიტყვები.

ბარტაკმა უკანასკნელ რიგში უცებათ შენიშნა პოლკის კომისარი კნიშევი. ჩანს, იგი აქ უკვე რამდენიმე წუთს მდგარა. აშკარად ჩანდა, კნიშევი რაღაცას ეღელვებინა და გრძელ ულვაშს ნერვულად იკვნეტდა. რატომ მოვიდა ასეულში პოლკის კომისარი? როგორც ჩანს, რაღაც მოხდა, დაასკვნა ბარტაკმა.

კომისარი მაინც არ შლიდა მიტინგს. როგორც კი პულკანი გაჩუმდა, მაშინვე რიგებიდან გამოვიდა იან შამა.

— ამხანაგო ასეულის მეთაურო, ნება მიბოძეთ ვთქვა რამდენიმე სიტყვა. — ბარტაკმა თავი დაუქნია, და შამა ტრიბუნაზე ავიდა. ძნელი იყო ყოფილი მოჯამაგირისათვის ასეთ ხალხმრავალ კრებაზე ლაპარაკი და ისიც რუსულად.

— ამხანაგებო! თავზარი მეცემა, როცა ვფიქრობ იმის შესახებ, რომ წყეულმა ესერმა ქალმა ჩვენს ილიჩს ესროლა! — იანის ხმა მტკიცდებოდა, ის სულ უფრო თამამად ლაპარაკობდა, — ამხანაგო ჩეხებო, სლოვაკებო, უნგრელებო, სერბებო, ჩვენი ასეულის ამხანაგო მებრძოლებო! თქვენც ხომ სისხლი გეყინებათ ძარღვებში, როცა ამას იხსენებთ.

შამამ გამშრალი პირით ჰაერი გადაყლაპა, — იან პულკანი ჩვენი წითელარმიელია. ის აქ ყველა ჩვენგანის სახელით ლაპარაკობდა. მე წინადადება შემომაქვს, ამხანაგებო, ჩემო ძმებო, წინადადება შემომაქვს გავგზავნოთ კრემლში დეპეშა, რომ ჩვენ, ინტერნაციონალისტები, ვესალმებით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს და რომ ჩვენ მას, სანამ ცოცხლები ვიქნებით, ყველგან გავყვებით. იქ, უკანასკნელ რიგში დგას პოლკის კომისარი ამხანაგი კნიშევი. ის გაგზავნის ჩვენს დეპეშას. ამხანაგებო! იმისათვის, რათა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ყველა ხელს ვაწერთ ილიჩის დეპეშას, მოდით კენჭისყრის ნაცვლად ვიმღეროთ ჩვენი საბრძოლო სიმღერა. — იანის ცისფერი თვალები აღფრთოვანებით ელავდნენ. შამამ მაღლა შემართა შეკუმშული მუშტი და მთელი ძალით დასჭექა სიმღერა! „აღსდექ, კრულვით დაღდასმულო, ქვეყანავ მშიერ მონების“... მიტინგის მონაწილეები აჰყვნენ ამაღელვებელ სიტყვებს.

აი მიწყდა ინტერნაციონალის უკანასკნელი სიტყვები. სიჩუმე გამეფდა. მაგრამ ენთუზიაზმი სულ უფრო და უფრო ეუფლება თეთრგვარდიელთა ბრძოლებში გამოწრთობილ მებრძოლთა გულებს. ტონიკ განოუსეკმა უცბად ქუდი მოიგლიჯა და დაიყვირა.

— ვაშა! ვაშა! ვაშა!

მებრძოლები მეგობრულად აჰყვნენ და „ვაშა“ დიდხანს ქუხდა რიგებში. რიგითებთან ერთად ყვიროდნენ მეთაური ბარტაკი და პოლიტხელი პულკანი. პოლკის კომისარი კნიშევი, მებრძოლთა სოლიდარობით, ბელადისადმი ერთგულების ნათელი დემონსტრაციით აღფრთოვანებული ისეთი თავგამოდებით ყვიროდა „ვაშას“, რომ სახეზე ნაიარევი — კაზაკის ხმლის ნაკვალევი — უწითლდებოდა.

კავალერისტმა ბედრჟიხ ჰანზამ, ჯუჯა ტანის გამო „არშინს“ რომ ეძახდნენ, რაღაც ჩეხურად დაიყვირა, გადაეხვია კნიშევს და მაგრად გადაკოცნა მისი მეწამული ნაჭრილობევი. „არშინს“ დასჭირდა თითის წვერებზე შემდგარიყო, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მას თავი ისე დაეჭირა, თითქოს მისი ჯუჯა ტანადობა არასოდეს არ ყოფილიყოს მისი წყენინების მიზეზი, არ გამოეყენებინოთ ხუმრობის სამიზნედ.

მიხალ ლაგოშიც გადაეხვია კომისარს. აი მოვიდა განოუსეკი, შემდეგ კონიარდა — და ყველა ერთმანეთის მიყოლებით გულში იკრავდნენ მას.

— ძვირფასო ამხანაგებო! — კნიშევმა ყველას თვალი მოავლო, — დეპეშას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს აუცილებლად გავუგზავნით, გავუგზავნით დივიზიის მეთაურ ამხანაგ კიკვიძესთან ერთად. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აუცილებლად გავუგზავნით!.. საბჭოთა რუსეთი მადლობელია თქვენი დახმარებისა და პროლეტარული დროშების ერთგულებისათვის... ახლა კი მინდა გაუწყოთ, თუ რისთვის მოვედი თქვენთან. პირდაპირ სადგურიდან გამოვედი აქ. იქ კი ყველაფერი რიგზე როდია. ჩამოდგა ჯავშნიანი მატარებელი ყველა თქვენთაგანისათვის ცნობილი ესერი მარუსიას სარდლობით. ჩვენ [illegible] უნდა შევუშალოთ ამ დამთხვეულ ქალს განაგრძოს გზა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მისი რაზმიდან არც ერთი კაცი არ გადმოვიდეს ბაქანზე. ამიტომ თქვენ, ამხანაგო ბარტაკ, თქვენი ასეულით დაიკავეთ ვაგზალი, ვინც წინააღმდეგობა გაგიწიოთ — არ დაზოგოთ!

ასეული დაუყოვნებლივ დაეწყო და გაემართა სადგურისაკენ. ბარტაკი, რომელმაც გზაში სარდლობა პულკანს დაავალა, „არშინსა“ და შამასთან ერთად ამხედრებული გაქანდნენ წინ.

პოლკის მეთაური დივიზიის შტაბში ჩქარობდა. დივიზიის მეთაური კიკვიძე მისთვის უჩვეულოდ მოღუშული მაგიდას უჯდა და ჩაფიქრებული მზერით, მექანიკურად ატრიალებდა ხელში ქართულ ხანჯალს. დივიზიის მეთაურის ირგვლივ მყოფი პოლკთა მეთაურები ასევე დაღვრემილები იყვნენ. შტაბის შენობაში დაძაბული ატმოსფერო იყო გამეფებული. ყველაფერი თამბაქოს კვამლში იყო გახვეული, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ყველა განაგრძობდა წევას.

მეთაურთა წინ იდგა ახალგაზრდა ქალი — ესერული ჯავშნიანი მატარებლის უფროსი მარუსია. მას სამხედრო ბლუზა ეცვა, ფეხებზე მუხლამდე ჩექმები, მხარზე [illegible] ჰქონდა გადაკიდებული. ხოლო ქამარზე ბუდეში [illegible] ედო პატარა, მაგრამ ძლიერი პისტოლეტი.

— მოქალაქე მეთაურებო, — მკვეთრი [illegible] ხმით წარმოთქვა მარუსიამ. მისი [illegible] უკმაყოფილობის რისხვით იყო გაცეცხლებული. — მე პროტესტს ვაცხადებ ჩეხური პოლკის კომისრის კნიშევის თვითნებობის წინააღმდეგ. მე მინდა პროვორინოში გავემგზავრო, მე დავალება მაქვს, კომისარი კი არ უშვებს ჩემს მატარებელს. სადღაა თქვენი თავისუფლება? ჩემი ხალხი ჯერ კიდევ ისევ აღშფოთებულია იმის გამო, რაც შემთხვა რამდენიმე კვირის წინათ ანარქისტთა შემადგენლობას, როცა მათ სურდათ გამგზავრებულიყვნენ ცარიცინს. ხოლო ახლა იგივე ხდება ჩვენთან? თქვენ გინდათ ხელთ იგდოთ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელიც, ხოლო ჩვენ გაგვრეკოთ ველად, როგორც ძაღლები? ჩვენ ანარქისტები არა ვართ. გაფრთხილებთ, მე ვასრულებ ამხანაგ ნოსოვიჩის სპეციალურ დავალებას. ჯავშნიანი მატარებლის დაკავებისათვის გიჩივლებთ.

— შეგიძლიათ! — მტკიცე ხმით წარმოთქვა კნიშევმა მის ზურგს უკან. — ჩვენ მართლაც გაგყრით ველად მგლებივით.

— [illegible] თედორეს-ძევ, — შეაწყვეტინა კომისარს კიკვიძემ, — მე მინდა ბოლომდე მოვუსმინო ესერთა წარმომადგენელს... — დაე [illegible]...

— კეთილი და პატიოსანი! — მე მოვითხოვ თავისუფალ მგზავრობას ფილონოვოზე გავლით, ან არა და...

კნიშევმა გაკვირვებით შეხედა კიკვიძეს. ვასილ ისიდორეს-ძეს წარბიც არ შეუხრია. მაშინ კომისარმა თვალის დახამხამებაში ამოსტაცა მარუსიას ბუდიდან რევოლვერი. ესერმა კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრო.

— თქვენ ბედავთ დაგვემუქროთ?! — კნიშევი რისხვისაგან აინთო. — თქვენ გნებავთ სწორედ ამ დღეებში დასძრათ თქვენი ჯავშნიანი მატარებელი მოსკოვისაკენ. ამით თეთრგვარდიელ გენერალ კრასნოვს დიდად გაახარებდით. ესეც არ იყოს, იგი სიამოვნებით მიგიღებდათ თავის გუნდში. მოკლედ, ფასკუნჯებს გულით უნდათ წითელ მოედანზე გასეირნება, მეფეთა იმ სიმდიდრეებში ხელის არევა, კრემლში რომ ინახება. მაგრამ მათ არაფერი გამოუვათ — ქანჩი მოშვებული აქვთ. თქვენ ლოიალობას მოითხოვთ, მაგრამ თვით თქვენ ლოიალური ხართ? ჩვენ კარგად ვიცით, რა ხდება თქვენს და თქვენს ნოსოვიჩს შორის.

რისხვა სულ უფრო ეუფლებოდა კნიშევს.

— ჩვენ გავიგეთ, — განაგრძობდა კომისარი, — რომ გასულ წელს თქვენ იყავით ზამთრის სასახლეში ჩაბუდებულ ქალთა ბატალიონის შემადგენლობაში, და არაფერია საკვირველი, რომ ლენინზე თავდასხმა თქვენ მიიღეთ როგორც მოსკოვზე ალყის შემორტყმის ნიშანი. ფიქრობთ ხეირი ნახოთ, ქალბატონო? მაგრამ ლენინი ცოცხალია, ლენინი იცოცხლებს! გენახათ მაინც, რას შვრებიან წითელარმიელები, რა აღშფოთებული არიან ლენინზე თავდასხმის ამბით, რა რისხვით არის ანთებული მათი გული. ესერებს არაფრით არ შეეძლოთ უფრო დიდი ზიანი მიეყენებინათ თავიანთი პარტიისათვის, ვიდრე ლენინზე თავდასხმით. თვით სკეპტიკოსებიც კი, რომელთაც თქვენ აქამდე უღმერთოდ ასულელებდით, ისინიც კი დარწმუნდნენ ახლა თქვენს სიყალბეში. წითელი არმიის მეომრები მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი ლენინის იდეების ზეიმისათვის, კომუნისტთა პარტიის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ნახევარი საათის წინ მიტინგზე ინტერნაციონალისტი მეომრების წინაშე გამოვიდა წითელარმიელი — ყოფილი ჩეხი მუშა, მე ვერ შევძლებდი უფრო კარგად მეთქვა, ვიდრე ის ლაპარაკობდა. მეორე მებრძოლმა, ისიც ჩეხმა, წინადადება წამოაყენა გაეგზავნოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს საბრძოლო სალამი. მოგესმინათ, მებრძოლები როგორ მღეროდნენ „ინტერნაციონალს“! თქვენ კი? თქვენ გინდათ გაძვრეთ მოსკოვში? — და კომისარმა, გადასცა რა კიკვიძეს ესერისათვის წართმეული პისტოლეტი, უთხრა, — ამხანაგო დივიზიის მეთაურო, მე მიმაჩნია, რომ ესერული ჯავშნიანი მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა ფილონოვოდან უნდა გაეთრიოს. ინტერნაციონალისტ-მებრძოლებს აღარ სურთ მათი აქ მოთმენა. სხვანაირად...

— მადლობთ, ამხანაგო კნიშევ, ახლა მე მომეცით სიტყვა, — კიკვიძემ ხანჯალი მაგიდაზე დადო, მარუსიას პისტოლეტიდან მჭიდე ამოიღო და დამალა თავისი ტყავის კურტაკის ჯიბეში. დაძაბული უცქერდა რა მარუსიას, მან ცივად თქვა: — არაუგვიანეს ერთი საათისა თქვენ უკან, ცარიცინში დაბრუნდებით. ორი ჩემი ჯავშნიანი მატარებელი გიბადრაგებთ, რათა არაფერი [illegible]. დაიხსომეთ, აქ, ფილონოვოში, მე ვარ უფროსი და ვერავითარ ულტიმატურ მოთხოვნებს ვერ მოვითმენ. კბილებს ნუ აღრჭიალებთ, თქვენს თეთრ ტერორს ჩვენ წითელი [illegible] ვუპასუხებთ. პისტოლეტს კი, მართლაც დაგიბრუნებთ, მაგრამ ვაზნებს დავიტოვებ, — თქვენ, ჩანს ერთობ ფიცხი ხართ.

მარუსიამ პისტოლეტი ბუდეში ჩადო, მკვეთრად შეტრიალდა და უსიტყვოდ გავარდა ოთახიდან.

◆

თარგმანი ა. ირემაძისა.



**დღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში**

□

# ბორჯომი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

**რ. ბასილაშვილი**

● მრავლდება სართულები ● ახალდაბური ავეჯი სახალხო მიღწევათა გამოფენაზე ● დამორჩილებული მტკვარი ● „პლატო" გიწვევთ ● კეჩხობში, მიწისძვრის შემდეგ.

□ **უკანასკნელ** წლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა სამი ორმოცდაორბინიანი და ერთი სამოცბინიანი სახლი.

ამ დღეებში ახალმოსახლობას იზეიმებენ აგრეთვე სოფელ ვაშლოვანის 60-ბინიანი სახლის მობინადრენი. მშენებლობას აწარმოებენ მშენებლობის სამინისტროს ბორჯომის № 12 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს მუშაკები.

□ **წელს**, ვინც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა დაათვალიერა, აუცილებლად თვალს მოსტაცებდა ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის ნაწარმი. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა საძილე გარნიტურმა, რისთვისაც მისმა ავტორებმა და დამამზადებლებმა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მადლობა და ფულადი პრემია დაიმსახურეს.

ამჟამად ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში მასობრივად ამზადებენ გამოფენაზე მოწონებულ ავეჯს, რომელსაც მალე მიიღებს მომხმარებელი.

□ **წყალდიდობისგან** ამ ორი წლის წინათ დაზიანებული ადგილები მეტად თვალწარმტაცი ხდება. სამშენებლო საქმეში დიდი წვლილი უპირველეს ყოვლისა თვითონ ბორჯომელებს მიუძღვით. ყოველი ბორჯომელი მთელი მონდომებით შრომობდა მშობლიური ქალაქის აღსადგენად, მის გასალამაზებლად. გაშენდა ახალი სკვერები, რომლებსაც საოცრად შვენით მწვანე მოლი, დეკორატიული ნარგავები, სარდილობელი „სოკოები", ფარნები და სხვა სამკაულები.

ამ სკვერების ფართობი ორ ჰექტარს გადააჭარბებს. სკვერებს იცავს რკინაბეტონის საიმედო კედელი, რომლიც მდინარის ნაპირებზე 2.500 მეტრზეა გაჭიმული. ნაპირსამაგრი სამუშაოები წარმატებით გრძელდება... მტკვარი ადამიანს დაემორჩილა.

□ **წლის** ბოლოს დამთავრდება პანსიონატ „პლატოს" დასასვენებელი სახლის კლუბ-სასადილო, რომელიც ერთდროულად 350 კაცს მოემსახურება. კლუბ-სასადილოს ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, ამჟამად მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებს ტრესტ „კურორტმშენის" ბორჯომის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (სამუშაოთა მწარმოებელი ა. გრიგორაშვილი). ეჭვი არ არის, რომ ახალი კლუბ-სასადილოთი დიდად კმაყოფილი იქნება დამსვენებელი.

□ **კეჩხობის** ბუნება და ჰაერი ყოველთვის უამრავ დამსვენებელს იზიდავს. მიმდინარე სეზონში მოსალოდნელი იყო დამსვენებელთა კონტინგენტის შემცირება, რადგან აქ მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ძირითადი საძილე კორპუსები. მაგრამ იმარჯვეს კურორტების მართვის საბჭოს ბორჯომის განყოფილების მუშაკებმა.

მიმდინარე საკურორტო სეზონისათვის კეჩხობში დაიდგა გორკის ოლქის ვისურსკის ხის დამამუშავებელ ქარხანაში დამზადებული ხის 10 საზაფხულო სახლი ორ და სამსაწოლიანი ოთახებით. თვითეული სახლი 20 დამსვენებელს იტევს.

სახურველი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე დაზიანებული კორპუსების აღდგენა და რეკონსტრუქცია, დამსვენებლები მათ 1972-1973 წლებში მიიღებენ. მაშინ ეს კორპუსები ერთდროულად 226 დამსვენებელს დაიტევენ.

□



ბორჯომის ოთხსადგილიანი საკურორტო დარბაზი. ამავე შენობაში, პირველ სართულზე, მოთავსებულია მინერალური წყლის პავილიონი და საკურორტო ბიბლიოთეკა.

# დიდი მოწონება

## ქართული ხალხური შემოქმედებითი ნიმუშები ლენინგრადში

**ს**აბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილეს, აღსანიშნავად საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა ლენინგრადში მოაწყო თემატური გამოფენა „ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები".

გამოფენის მოსაწყობად ლენინის ქალაქში გაემგზავრა მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატების გ. ჯალაბაძის, მ. ჩართოლანის, ლ. ბედუკაძის გ. გასიტაშვილის, მხატვრების დ. ჭუბაბრიასა და გ. რუსიეშვილის შემადგენლობით.

ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩვენი გამოფენის მოსაწყობად გამოყოფილ იქნა „საზეიმო", ე. წ. „მარმარილოს დარბაზი". გამოფენის საზეიმო გახსნაზე ბევრი სტუმარი ესწრებოდა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა დ. გუსევმა და ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. სელეზნიოვამ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, დოცენტი ნ. ჩირქეზიშვილი.

გამოფენაზე წარდგენილი იყო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული ხალხური შემოქმედების უნიკალური ნიმუშები — ხეზე კვეთილობის ნამუშევრები — სვანური და ხევსურული ჩუქურთმიანი მაქალოზები, ქართული სანაყი და სამარილეები, იმერული და მეგრული წნული კალათები, ჭიქურიანი კერამიკა თბილისიდან, გორიდან, ნინოწმინდიდან, შრომადან, წითელი კერამიკული ნაწარმის იშვიათი ფორმები ქართლიდან (მცხეთა, ცხავატი), რაჭიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან (ბოდბისხევი), სპილენძისა და რკინის დამუშავების იშვიათი ნაწილავი თბილისიდან, გორიდან, თელავიდან, ვერცხლზე ჭედვის საუკეთესო ნიმუშები — თასები, ლანგრები, ვერცხლის საწდე სურები და სხვ. თვითეული მათგანი შესრულებულია ამოკვეთის წესით თვითნასწავლი ზელოსნის მიერ, მათი მხატვრული სიუჟეტი აღებულია ქართული ყოფიდან ან აღმოსავლეთის ხალხთა ზღაპრებისა და ლეგენდების შინაარსიდან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ოქრომჭედლობის ტექნიკის სხვადასხვა მეთოდით დამუშავებული მოვერცხლილი სატევრები და დამბაჩები.

ლენინგრადელთა ყურადღებას იპყრობდა ვერცხლის ემალით დამუშავების ტექნიკა, რომელსაც ქართულ ოქრომჭედლობაში დიდი ხნის ტრადიციები აქვს. დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობოდნენ აგრეთვე ქარგულობის იშვიათ ნიმუშებს.

გამოფენას ფართოდ გამოეხმაურნენ ადგილობრივი რადიო, ტელევიზია და პრესა. შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი სამადლობელო სტრიქონი ჩაიწერა. მათი ავტორები არიან როგორც ლენინგრადელები, ისე ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები — მოსკოველები, კიეველები, სტუმრები ვორონეჟიდან, სევასტოპოლიდან, ვლადივოსტოკიდან, მურმანსკიდან, ბრესტიდან, ესტონეთიდან და სხვ., აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები.

„ნეტავ ეს გამოფენა ჩვენთანაც მოეწყობოდეს", ჩაწერეს წიგნში ჩვენმა ჩეხოსლოვაკიელმა მეგობრებმა.

**გ. ჯალაბაძე,**
**გ. გასიტაშვილი,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები.



**სურათზე:** გამოფენის ერთი კუთხე.



მთათუშეთი. საძოვარზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე

ჰელსინკში დასასრულს უახლოვდება ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ახალი წარმატებით აღინიშნა კიეველი ვ. ბორზოვის გამოსვლა. ამჯერად მან მეორე ოქროს მედალი მოიპოვა 200 მეტრზე რბენაში, აჩვენა დრო — 20,3 წამი. მეორე ოქროს მედალი მოიპოვა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, რენატა შტეხერ-მეისნერმა. მისი შედეგია 200 მეტრზე რბენაში — 22,7 წამი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ოქროს მედალი მოუტანა აგრეთვე ჰ. ბრიზენიკმა, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 21 მეტრსა და 8 სანტიმეტრზე. (ევროპის რეკორდი). 400 მეტრზე რბენაში პირველობის საკითხი გადაწყვიტა ფოტოფინიშმა. უძლიერესის ტიტული მოიპოვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დ. ჯენკინსმა — 45,5 წამი. 100 მეტრზე თარჯრბენში ქალთათვის ფოტოფინიში საჭირო აღარ იყო. აქ დამაჯერებლად გაიმარჯვა მსოფლიოს რეკორდსმენმა კარინ ბალცერმა (გდრ) — 12,9 წამი. შუბის ტყორცნაში ქალთათვის უძლიერესი იყო პოლონელი დ. იავორსკა — 61 მეტრი. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ვ. ნორდვიგმა (გდრ) — 5 მეტრი და 35 სანტიმეტრი.

# ფინალების წინ

**ლუჟნიკში** ფინიში აქვს საერთაშორისო ტურნირს ჩოგბურთში. შეუპოვარი გამოდგა ნახევარფინალური შეხვედრები. ოთხ საათს გრძელდებოდა მოსკოველი ა. ვოლკოვისა და უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონის ი. გუიაშის შეხვედრა. წარმატება უნგრელ ჩოგბურთელს ხვდა 3:6, 6:4, 6:3, 3:6, 6:2. ა. მეტრეველს პაექრობა ჰქონდა პოლონეთის თორმეტგზის ჩემპიონთან ვ. გონშორეკთან და გაიმარჯვა 6:2, 6:2, 12:10.

ქალთა ერთეულების ნახევარფინალში მ. კულმა (ტალინი) დაამარცხა გ. ბაკშეევა (კიევი) 6:3, 3:6, 6:2, ხოლო ლენინგრადელმა ა. ერემეევამ — პოლონელი დ. ვეჩერეკი 4:6, 8:6, 6:4.

ქალთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მოროზოვა-ბირიუკოვა და ბაკშეევა-ჩუვირინა, ვაჟთა წყვილებში — მეტრეველი-ლიხაჩოვი და ჟან-ლუი რუიე და ჟან-პოლ მეირი (საფრანგეთი).

# სტარტზე პრეტენდენტებია

**ვინ** იქნება მსოფლიო ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე იმ კვარტეტიდან, რომლებიც საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლას განაგრძობენ? იგი უნდა გამოავლინოს პრეტენდენტთა ნახევარფინალურმა და ფინალურმა მატჩებმა. ნახევარფინალის მონაწილეებია ნ. ალექსანდრია, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია და იუგოსლავი მ. ლაზარევიჩი. ჩვენს თანამემამულეს ათი პარტიისაგან შემდგარი მატჩი ექნება მეტად ძლიერ მეტოქესთან—მ. ლაზარევიჩთან. პირველი მატჩი შედგება ჰოლანდიის ქალაქ ბლადელში. იგი სტარტს დღეს აიღებს, ხოლო გუშინ რიგაში დაიწყო ა. კუშნირისა და ტ. ზატულოვსკაიას მატჩი. ნ. ალექსანდრია — მ. ლაზარევიჩის მატჩის არბიტრია ჰოლანდიელი ვან დენ გრაფი.

მაშ ასე, სტარტზე პრეტენდენტებია, დაველოდოთ პირველ შედეგებს.

# ფეხბურთის ამბები

**გუშინ** მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამო" და ცსკა. შეხვედრის შედეგია 1:0 არმიელთა სასარგებლოდ.

**მორიგ** ტურში ქუთაისის ტორპედოელებმა იაროსლავლში წააგეს ადგილობრივ გუნდთან — „შინიკთან" 1:2.

**სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ემზადება უეფა-ს ტურნირისათვის. ჩვენი ფეხბურთელები ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან და მონაწილეობენ „მეგობრობის თასის" გათამაშებაში. ჯგუფური ტურნირის სტარტზე საბჭოთა ნაკრები დამარცხდა გდრ-ის გუნდთან შეხვედრაში 1:2, ხოლო მეორე მატჩი პოლონელებთან ფრედ (1:1) დაამთავრა. ჩვენი გუნდიდან ბურთები გაიტანეს ძაგნიძემ და ბერულავამ. ნაკრებში საქართველოდან შედიან — მეკარე კოხაძე (თბილისის „ლოკომოტივი"), მცველი ბერულავა (რუსთავის „მეტალურგი"), ნახევარმცველი ხანიშვილი (გორის „დილა") და თავდამსხმელები — ესებუა (ცხაკაიას „დინამო") და ძაგნიძე (ტყიბულის „მეშახტე").

**დონის როსტოვში** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ადგილობრივი სკა-სა და სირიის არმიის ნაკრებ გუნდს შორის. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 2:0.

სპორტი

**მოვუსმინოთ ექიმს**

# მზე და ტანსაცმელი

**რომელი ქსოვილების ტარება უფრო სასარგებლოა ზაფხულობით? ისეთების, რომლებიც „იკრებენ" მზის ენერგიას, თუ, პირიქით, არეკლავენ და აბნევენ მას?**

**რ**ოგორი ტანსაცმელი უნდა ჰქონდეთ ბავშვებს, მოსწავლეებს, სპორტსმენებს, მეომრებს?

მეცნიერთა გამოკვლევები ეხმარებიან ხამკერვალო მრეწველობას, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. სისინის სახელობის ზოგადი კომუნალური ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს შექმნან ტანსაცმელი წლის სხვადასხვა სეზონისათვის, სხვადასხვა კლიმატური ზონებისათვის. ტანსაცმელი, რომელიც შეუნარჩუნებდა ორგანიზმს სითბურ წონასწორობას, უზრუნველყოფდა ტენის სწორ გაცვლას სხეულსა და გარემოს შორის, იქნებოდა ჰაერშეღწევადი და ტენშეუღწევადი, ჰიგროსკოპიული.

შვიდ ხილულსა და მრავალ უხილავ სხივს გზავნის მზე დედამიწაზე. ისინი ღრმად აღწევენ ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებში, ათბობენ და აფართოებენ ძარღვებს. უღრუბლო დღეშიც სხეულის ზედაპირის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე მოდის სითბოს 1,5 კალორია წუთში.

ჰიგიენისტები, ექიმები და კლიმატოლოგები გულდასმით სწავლობენ სითბოს ზონალურ განაწილებას სხეულის გაყოლებით, იკვლევენ მისი ცალკეული უბნების სითბოს დანაკარგებს. მათი მიზანია ისეთი ტანსაცმლის წარმოების პრინციპები, რომელიც ქმნის თითქოს „პირად მიკროკლიმატს", რის მეოხებითაც ორგანიზმი ადვილად ეგუება სხვადასხვა კლიმატურ პირობებს.

ადამიანის სხეულის ტემპერატურა ყოველთვის მუდმივი უნდა იყოს, ესე იგი ორგანიზმმა უნდა დაკარგოს იმდენი სითბო, რამდენსაც იგი იღებს. ხოლო იღებს იგი საკმაოდ ბევრს. ყველაზე „მშვიდი რეჟიმის" დროს — ძილში გამომუშავდება ხოლმე დაახლოებით 70-80 დიდი კალორია სითბო საათში, ფიზიკური მუშაობის დროს — 200-მდე კალორია.

ჩრდილოეთში, სამხრეთში, შუა განედებში სითბოს ბალანსი ერთნაირი როდია. იგი იცვლება წლის სეზონის მიხედვითაც, მაგალითად, სიცხეში, მზის სხივების ზემოქმედებით, კანის სისხლძარღვები ფართოვდება, მაღლდება მისი ტემპერატურა, ორგანიზმი კარგავს მეტ სითბოს ვიდრე ცივ დროს. და აი ამ პროცესის მართვა ერთგვარად შეიძლება.

რა ფერის ქსოვილებს ჯობს, ენერგიას, თუ, პირიქით, არეკლავენ და აბნევენ მას? პირველი შეხედვით თითქოს, უთუოდ, უკანასკნელებისა, მაგრამ ეს ასე არ არის. მზის სხივები იჭრებიან ქსოვილების ძაფებს შუა მანძილებში. მაგალითად, შტაპელისა და ბამბეულის ქსოვილები, რომლებსაც გამჭოლი ფორები დიდი დიამეტრისა აქვთ, უშვებენ 30-35 პროცენტამდე ულტრაიისფერ რადიაციას, მაშინ როცა სქელი და სქელი ბამბეულის ქსოვილები მხოლოდ 6-8 პროცენტს. მაგრამ ზოგჯერ სქელ ქსოვილში შედარებით მეტი აღწევს ულტრაიისფერი რადიაცია. ეს დამოკიდებულია მის დამუშავებასა და ფერზე.

ბავშვობიდან ვიცით, რომ ზაფხულში შავი კაბა ცხელია, რადგან შავი ბევრ მზის სხივებს ნთქამს. ამიტომ ყველა ამჯობინებს სიცხეში ღია ფერების ტანსაცმელი ატაროს. ზამთრობით კი — მუქი. მაგრამ ცდებმა გვიჩვენა, რომ ღია ფერებთან უნარიანი შეხამებით შავ ფერსაც შეუძლია „გადაგვარჩინოს" სიცხეს. მაგალითად, თუ მზიან ოთახში ზაფხულში დავკიდებთ ორმაგ ფარდებს: გარედან ღია ფერისას, ხოლო შიგნით შავს, მზის სხივებს საიმედოდ დაიკავებს შავი ფარდები, და ოთახში სიგრილე იქნება.

ზომიერ ჰავაში, სადაც ზაფხულში ძალიან არა ცხელა, და ადამიანს არა ჰყოფნის ულტრაიისფერი სხივები, სასარგებლოა ცისფერი, თეთრი, ლურჯი, მომწვანო, იისფერი ტანსაცმლის ტარება. ასეთი ფერები კარგად ატარებენ ულტრაიისფერ სხივებს.

ცხელ ჰავაში კარგია ყვითელი, ვარდისფერი, თეთრი, ნაცრისფერი სელის ტილოს ტანსაცმელი.

**სინთეზური ბოჭკოები როგორღა მოქმედებენ ორგანიზმზე?** ამ ბოჭკოს ნაკეთობანი თითქმის არ უშვებენ ჰაერს. ზაფხულობით „სინთეზური" ტანსაცმელი ცხელია, ზამთარში — ცივი. ამიტომ ჰიგიენისტები გვირჩევენ ვიხმაროთ იგი ადრე გაზაფხულზე და შემოდგომის დასაწყისში, ამასთან იხმარონ იმ ადამიანებმა, რომლებიც რევმატიზმით არ არიან დაავადებული.

**ი. ბრანდკოვსკაია.**

(ახალი ამბების სააგენტო).

# ნახეთ თბილისის ეკრანებზე

### მისი უმაღლესობა ამხანაგი პრინცი

ფილმის გმირი კასპარ მაი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანი საქმეების ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელია. უფროსები მას პატივს სცემენ, სიყვარულს არ აკლებენ ქალებიც, მაგრამ მოულოდნელად ერთი გაუთვალისწინებელი გარემოება იჩენს თავს: კასპარი 1945 წლის მაისში რკინიგზის სადგურთან სულ პატარა უპოვნიათ და ბავშვთა სახლში მიუბარებიათ აღსაზრდელად. როგორც ირკვევა, იგი არისტოკრატიული წარმოშობის ყოფილა და მისი ნათესავები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობენ. კასპარ მაის ნამდვილი სახელი და გვარია ეიტელ ფრიდრიხ პრინცი ფონ გოგენლეოლიბენშტარი, ახალგაზრდა კაცი გადაწყვეტს აღმოჩხვრას თავისი ბიოგრაფიის ეს „ნაკლი".

სცენარის ავტორი და რეჟისორია ვერნერ ვალორტი. კასპარ მაის როლს ასრულებს როლფ ლუდვიგი.

### მუსიკის ჰანგები

ამ საინტერესო ფილმში „მუსიკის ჰანგები" ამერიკელმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს.

სურათი ერნსტ ლემანის სცენარის მიხედვით რეჟისორმა რობერტ უაიზმა გადაიღო.

...სიცოცხლით სავსე ქალიშვილი მარია მონასტრის წინამძღვარმა მდიდარი ქვრივის, კაპიტან ფონ ტრაპის ოჯახში გაამწესა აღმზრდელად, სადაც მან შვიდ ბავშვს უნდა მოუაროს.

მარია ვერ ეგუება კაპიტნის ოჯახში გამეფებულ სიცივესა და სიმკაცრეს. ფილმში ნაამბობია, თუ როგორ წარიმართება გულკეთილი გოგონას ცხოვრება.





კადრები ფილმებიდან.

**ავარია მოხდა, ვინ მფარველობს დამნაშავეს?!**

# უფლებაჩამორთმეულნი საჭესთან?!

**თერჯოლა.** (საქ. კორ.). „საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ავტომანქანის მძღოლი გურამ ივანეიშვილი მთვრალი მართავდა მანქანას. სადისკვალიფიკაციო კომისიამ გასული წლის 20 ნოემბერს მას ერთი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება. ჯერ ვადა არ გასულა, მაგრამ უფლებაჩამორთმეული მძღოლი კვლავ მართავს საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ავტომანქანას. ახევე ამ ორგანიზაციის მძღოლს ჯემალ რობაქიძეს წელს ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება. ეს კი არაფრად ჩააგდეს და იგი კვლავ დასვეს მანქანაზე.

„საქსოფლტექნიკის" თერჯოლის განყოფილების მძღოლებს ჯონდო და ალბერტ კაკოიშვილებსაც ჩამოერთვათ მანქანის მართვის უფლება, მაგრამ ახლა ისინი უმოწმობოდ ატარებენ მანქანებს. უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ ეს ხდება „საქსოფლტექნიკის" თერჯოლის განყოფილების მმართველის ნებართვით.

**სასამართლოს დარბაზიდან**

# ბებერი რაშის დასასრული

**გურჯაანი.** (საქ. კორ.). სოფელ შაშიანში მცხოვრები გიორგი ბეგლარის-ძე ქევხიშვილი საკუთარ „პობედას" ბებერ რაშს ეძახდა. განსაკუთრებით მაშინ მოდიოდა „რაშის" ჯირითის ეშხზე, როცა თავში ბახუსი ეჯდა. ამას წინათ გ. ქევხიშვილი საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში ესტუმრა ნათესავს, მაგრამ გამოთვრა და შაშიანისაკენ გააქროლა „ბებერი რაში".

გ. ქევხიშვილმა როგორც იქნა მშვიდობით მიაღწია გურჯაანამდე, მაგრამ... გზის კიდეზე მიმავალ მ. უტიაშვილს დაეჯახა მანქანა. დაჯახების შედეგად თხრილში გადავარდნილი მძიმედ დაშავებული გონდაკარგული ქალი უპატრონოდ მიატოვა, დიდი სისწრაფით განაგრძო სვლა, ვერ დაიოკა „რაში", თავის გზაზე წინ მიმავალ „მოსკვიჩს" დაეჯახა და თხრილში გადავარდა.

გ. ქევხიშვილი ამ დღეებში წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით ჩამოართვა ავტომანქანის მართვის უფლება.

**ა. თვალიაშვილი.**

# ტელევიზია

**15 აგვისტო**

პირველი პროგრამით

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან). 10.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — ეზოებისა და ქუჩის გუნდების საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. ფინალური შეხვედრა (გადმოცემა ჩელიაბინსკიდან), 12.00 — კინონარკვევი, 12.20 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „თეთრი ფლუგერი", 13.40 — კინოაფიშა, 14.00 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა" (გამეორებით), 16.10 — კინოპროგრამა, 17.00 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.20 — ფერადი ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადმოცემა ჰელსინკიდან), 19.00 — გადაცემა „მელიორაცია და ირიგაცია ხუთწლედში", 19.20 — „ჩვენი სტუმრები", 19.50 — კინონარკვევი — „ცრემლი სახეზე" (ქართულ ენაზე), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). ტრანსლაცია მოსკოვიდან. 21.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ხაესტრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.00 — სატელევიზიო ფილმი, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური ფილმი „ცისფერი წყალსაცავების სიმდიდრე", 20.10 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში" (I და II სერია).

**16 აგვისტო**

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცეროდინას ეკრანი", 18.40 — განცხადებები, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — სპორტული მიმოხილვა, 19.20 — „მუსიკალური კალენდარის ფურცლებზე", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. საბჭოთა კავშირისა და იტალიის ვაჟთა ნაკრები გუნდები. (გადმოცემა ლენინგრადიდან), 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს მუზეუმებში", 22.45 — კინოკომედია — „ჩვენი საკუთარი სახლი".

მეორე პროგრამით

19.00 — კინოპროგრამა, 19.30 — განცხადებები, 19.35 — მხატვრული ფილმი „ომი ომია", 21.05 — მუსიკალური პროგრამა.


**რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ**

# დისერტაციის დაცვა

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

(მელიქიშვილის 10, III სართული, სააქტო დარბაზი)

**7 სექტემბერს** დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მედეა ალექსანდრეს ასული ფურცელაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თვისებრივად განსხვავებული ცხიმების გავლენა სისხლის შედედების სისტემაზე ნორმასა და მწვავე ჰეპატიტის დროს".**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.


**მსოფლიოს ზოოპარკებში**

### შემთხვევა

**საზარელი** ამბავი მოხდა ეგვიპტეში. კაიროს ზოოლოგიურ პარკში ლომმა დაიჭირა თავისი გაუფრთხილებელი მომვლელი, თვალის დახამხამებაში ნაგლეჯებად აქცია და სანამ მშველელები რამეს იღონებდნენ კიდევაც შეჭამა. ზოოპარკის თავზარდაცემულ დამთვალიერებლებს შორის ბევრს გული წაუვიდა.

### იამას სიკვდილი

**შიმპანზე**, სახელად იამა, პრიმატებიდან ერთადერთი ცოცხალი ინდივიდი, რომელიც მეცნიერთა აზრით, თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ყველაზე ახლოს დგას მონღოლოიდური რასის უძველეს წინაპრებთან, მოკვდა ატლანტაში (აშშ, ჯორჯიის შტატი) გულის შეტევისაგან.

მეცნიერ მუშაკებს უნდოდათ, რომ იამა ცოცხალი ყოფილიყო სქესობრივად მომწიფებამდე მისი სხვა შიმპანზეებთან შეჯვარების მიზნით. მათი აზრით, ასეთ სელექციას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

# დიდი საშიშროება

**ნატურალისტებს** კენიიდან — ერთ დროს კაშკაშა მზისა და ლაჟვარდოვანი ცის ქვეყნიდან — ძალიან აწუხებთ, რომ სულ უფრო მზარდი სამრეწველო ობიექტებიდან გამოყოფილი მომწამლავი აირი საშინლად აჭუჭყიანებს ატმოსფეროს. ეს კი ემუქრება მსოფლიოში უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალის — ნაირობის ნაციონალური პარკის ფაუნის უნიკალურ წარმომადგენლებს.

ამ საგანგაშო მდგომარეობის შესახებ განცხადება გააკეთა კენიის ნაციონალური მუზეუმის დირექტორმა რიჩარდ ლიკიმ. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ანთროპოლოგის ლ. ლიკის შვილია.

მიუხედავად ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ დღემდე მიღებული გარკვეული ღონისძიებებისა, აღნიშნა რ. ლიკიმ, თუ სამრეწველო აგონია დღევანდელი ტემპით გაგრძელდა, ორმოცდაოთხი კვადრატული მილი ფართობის ნაკრძალი დროთა განმავლობაში უნაყოფო მიწად გადაიქცევა.

ნაკრძალი ქალაქ ნაირობის ცენტრიდან სულ ხუთი მილის დაშორებით წარმოადგენს ლომების, ჟირაფების, გეპარდების, ზებრების, ბეჰემოთებისა და სხვა იშვიათი ცხოველების თავშესაფარს.

ლიკიმ აღნიშნა, რომ სმოგის საშიშროება ყველაზე მეტად შესამჩნევია ნაირობის აეროპორტში თვითმფრინავების ნაკრძალის თავზე ინტენსიური გადაფრენის შედეგად. ჰაერის გაჭუჭყიანებას ძალიან უწყობს ხელს აგრეთვე ორთქლმავლები და ნახევარმილიონიან ქალაქში ავტომობილთა სულ უფრო ჭარბად მოზღვავება.

რაც შეეხება სამრეწველო დანადგარებს, ისინიც ახლოს ესაზღვრებიან ნაკრძალს და ასევე ფრიად უარყოფითად მოქმედებენ მისი სიცოცხლის ბიოლოგიურ რიტმებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი იწვევენ ნადირთა იძულებით მიგრაციასა და ამოწყვეტასაც კი.

„სულ სხვა გარემოება იყო თუნდაც ათი წლის წინათ, — თქვა ლიკიმ, — შეგეძლო მთელი დღე გევლო პარკის ტერიტორიაზე თეთრი ხალათით და მეორე დღეს ერთ ლაქასაც ვერ იპოვნიდით მასზე. სრულიად განსხვავებულ სურათს ვხვდებით დღეს. საღამოთი სახლში დაბრუნებულს დიასახლისი ავი თვალით შემოგხედავთ, — საყელო სულ გაშავებულია ნახშირბადისა და სხვა სამრეწველო გამონაყოფებისაგან".

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კენიის ასოციაციის მდივანმა ვ. ლუდინდიმ გულისწუხილით განაცხადა, რომ ჰაერის, ნიადაგისა და ზღვის გაჭუჭყიანებით გამოწვეული საშიშროება ემუქრება არა მარტო ველურ ბუნებას, არამედ ადამიანთა მოდგმასაც.

განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ეგზოტიკური ბუნების დაცვითა და მოვლით შედარებით ახლად შექმნილი აფრიკული სახელმწიფოების მთავრობები. ამ მიმართულებით მრავალი რეფორმა და დეკრეტი შეიმუშავეს ზამბიის პრეზიდენტმა კენეთ კაუნდამ, ასევე სხვა სახელმწიფოების ლიდერებმა. კოლონიალიზმის უღლიდან განთავისუფლებული თავიანთი ქვეყნების კანონიერ ბატონ-პატრონებს კარგად აქვთ შეგნებული ბუნების საგანძურის მოვლა-შენარჩუნების მნიშვნელობა. ამის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ მათ ტაბუ დაადეს ადგილობრივ ცხოველებზე უმოწყალოდ მონადირე ევროპელ თუ ამერიკელ კოლონისტთა პარპაშს აფრიკის მომხიბლავ საგანებში. მაგრამ, სამწუხაროდ, აფრიკაში დღემდე შემორჩნენ ბრაკონიერები, რომლებიც უხარმაზარი თანხის ფასად ბედავენ და ანადგურებენ სპილოებს ეშვებისათვის, ლეოპარდებს — ტყავისათვის და, რაც ყველაზე უარესია, — გადაშენების გზაზე მდგომ ნადირ-ფრინველს მხოლოდ იმისათვის, რომ... ისინი ერთეულებიღა შემორჩნენ.

**არნ. გეგეჭკორი.**

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეები — 99-93-05, 99-02-09, პ/მ მდივანი — 99-72-50, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 08520

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.